

# თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

სისხლის სამართლის მიმართულება

ავტორი: თორნიკე ნადირაძე

ნაშრომი წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი: არჩილ შეყლაშვილი

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი, 0156, თბილისი, საქართველო

სამაგისტრო თემის სათაური:

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტის დაუსაბუთებლობის პრობლემატიკა

2020 წელი

## რეზიუმე

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ვერდიქტი საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად არ საბუთდება. ნაფიცი მსაჯულები არ ქმნიან რაიმე პროცესუალურ დოკუმენტს, იმის დასადასტურებლად, თუ რა მტკიცებულებებზე ორიენტირებით მივიდნენ შესაბამის დასკვნებამდე. ვიწრო გაგებით, ვერდიქტი, როგორც გადაწყვეტილების სახე, ერთის მხრივ ბოლომდე ვერ ჯდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილ სტანდარტებში დასაბუთების ნაწილში, რადგან ევროსასამართლო ხელისშემკვრელ მხარეს ავალდებულებს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა იყოს არგუმენტირებული და დასაბუთებული, ხოლო მეორეს მხრივ ვერდიქტი, ფართო გაგებით, ცალსახად არ გამომდინარეობს სამოსამართლო გადაწყვეტილების სამართლებრივი ბუნებიდან, რადგან ძირითად შემთხვევაში არაიურისტთა ჯგუფის მიერ ხდება გადაწყვეტილების მიღება, რაც ვერ იქნება ისეთი ფორმით ჩამოყალიბებული, როგორც ეს პროფესიონალი მოსამართლის შემთხვევაში ხდება.

თავისი არსით ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტის დაუსაბუთებლობა, როგორც ქართულ სამართლებრივ სივრცეში არსებული პრობლემატიკა, არც ისე სიღრმისეულადაა განხილული, ვინაიდან ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდა და არებობის მხოლოდ 10 წელს ითვლის. შესაბამისად, ნაშრომში მაქსიმალურად შევეცადეთ, სამეცნიერო ნაშრომებსა და არსებულ რეალობაზე დაყრდნობით, გვემსჯელა საკითხის პრობლემატურობაზე და მოგვეძიებინა გზები, რომლებიც ამ ინსტიტუტს კიდევ უფრო მოქნილსა და ეფექტურს გახდიდა.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულ იქნა გადაწყვეტილების ცნება და არსი. ამასთან ვიმსჯელებთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს მტკიცებულებებზე ორიენტირებულ, დასაბუთებულ და სამართლიან გადაწყვეტილებას. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, ყურადღება გამახვილდა როგორც შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაზე, ასევე შევეხეთ საერთაშორისო სამართლებრივ პრაქტიკას.

ძალიან მნიშვნელოვნად მივიჩნით, განსაკუთრებული ყურადღება დაგვეთმო ნულიფიკაციის ცნებისათვის. სწორედ ეს საკითხი გვესახება სამართალწარმოების ერთერთ ყველაზე ძირითად ნაკლად, რომელსაც აქტიურად და ყველა შესაძლო მეთოდით ებრძვიან ის ქვეყნები, სადაც ეს ინსტიტუტი მოქმედებს. ჩვენს მიერ ნულიფიკაციის ცნებასთან ერთად განხილულ იქნა ნულიფიკაციის ის ძირითადი 5 მიზეზი, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვან პრობლემად აღიქმება დღევანდელი დროში. ყურადღება გამახვილდა რეზონანსულ და ყველაზე გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმეებზე.

რასაკვირველია, ნულიფიკაციის პრობლემის განხილვა არ იქნებოდა სრულფასოვანი დაცვის მექანიზმების განხილვის გარეშე. უფრო დეტალურად, ვიმსჯელებთ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომის მნიშვნელობაზე, მოცემულობაზე, სადაც მხარეებს ეძლევათ უდიდესი შესაძლებლობა უშუალო კომუნიკაციის გზით გაცხრილონ არასასურველი და არაობიექტური გადაწყვეტილებისაკენ მიდრეკილი კანდიდატები. ამასთან განვიხილეთ, რა მნიშვნელობა ენიჭება მოსამართლის მიერ ნაფიც

მსაჯულთათვის განმარტებების გაკეთებას სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მათთვის გასაგებ და მარტივ ენაზე.

შედარებითი-სამართლებრივი ანალიზის ფარგლებში ვისაუბრეთ უმნიშვნელოვანეს პრინციპზე, რომელიც აქტიურად მოქმედებს ქვეყნებში, სადაც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი არსებობს - საბოლოო შეკითხვების დასმა ნაფიც მსაჯულებისათვის, რათა მოხდეს იმის განჭვრეტა, რატომ მივიდნენ მსაჯულები შესაბამის გადაწყვეტილებამდე. ამ თვალსაზრისით ჩვენს მიერ დასახულ იქნა ახალი ინიციატივა, წინასწარ მოფიქრებული შეკითხვების გზით ნაფიცი მსაჯულების პასუხების მოსმენა. გაგება იმისა, თუ რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მოხდა გადაწყვეტილების მიღება, რათა საბოლოო ჯამში ნაფიც მსაჯულთა მოქმედებები განჭვრეტადი იყოს, ამასთან განხორციელებული ცვლილებით, ისინი მეტად იგრძნობენ პასუხისმგებლობას მისაღებ გადაწყვეტილებაზე.

ჩვენ განვიხილეთ მედიის გავლენის საკითხები ნაფიც მსაჯულთა მიერ მისაღებ გადაწყვეტილებაზე. მიმოვიხილეთ ის მნიშვნელოვანი და რეზონანსული საქმეები, რომლებშიც მედიის ნეგატიურმა ჩარევამ ასახვა ჰპოვა მიღებულ გადაწყვეტილებაზე. ამავე თავში შევხებით იმ მექანიზმებს, რომლებიც აქტიურად გამოიყენება, მედიის უარყოფითი ჩარევისაგან თავის დასაცავად. ამ შემთხვევაშიც განხილულ იქნა თუ რამდენად მნიშვნელოვანია საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენება, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი პრინციპი, როდესაც სასამართლო ავალდებულებს მხარეებს, არ ისაუბრონ სასამართლოზე გამოკვლეულ მტკიცებულებებზე და ზოგადად სისხლის სამართლის საქმეზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, რათა ამ ინფორმაციამ უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს საქმის საბოლოო შედეგზე. შესაბამისად სწორედ ამ პრაქტიკის დანერგვა ქართულ საკანონმდებლო სივრცეში, მიგვაჩნია, რომ კიდევ უფრო მეტად სრულყოფს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს და მაქსიმალურად შეამცირებს მედიის უარყოფითი გავლენის შესაძლებლობას.

საბოლოოდ მიგვაჩნია, რომ არსებული ცვლილებებისა და სამომავლოდ განსახორციელებელი ინიციატივების გათვალისწინებით, რომლებიც თემაში იქნა განხილული, კიდევ უფრო მეტად მოხდება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დახვეწა და არსებული გამოწვევა, რომელიც ვერდიქტის დაუსაბუთებლობის პრობლემატიკასთანაა დაკავშირებული, ეფექტურად გადაიჭრება.

## Summary

The jury verdict is not substantiated by Georgian law. Jurors do not produce any procedural documents to substantiate what evidence has led them to the appropriate conclusions. In the narrow sense, the verdict, as the type of decision, on the one hand to the end did not fall under the Court's established standards of reasoning part, because the European court obliges the hindering side that the court's decision must be reasonable and justifiable, while on the other hand the verdict, in the broadest sense, does not explicitly proceed judicial decision-legal nature, because in most cases the decision is made by non-lawyers' group, which can not be formulated in such a manner as it is done in case of a professional judge.

The essence of unsubstantiality of the jury verdict as a problem in the Georgian legal sphere is not discussed in depth, since the jury institute in Georgia has been created since October 1, 2010 and counts only 10 years of existence. Accordingly, we have tried our best in our work, based on scientific works and existing reality, to discuss the problematic nature of the issue and to look for ways to make this institution even more flexible and effective.

Jury trial as an institution has been launched in Georgia since October the 1<sup>st</sup>, 2010. Jurors, after the hearing the evidences are obliged to collectively make a decision and in the form of a verdict to establish whether the particular person is "Guilty" or "innocent". However, unlike a professional judge, the verdict of Jury trial is not being argued. They are limited only by the definition of a person's guilty-innocence, do not even indicating in detail specifically what kind of evidences and circumstances led them to make this conclusion (decision). The topic is uniquely relevant in its essence, since there is very little information regarding this issue in Georgian language, accordingly, we will mainly refer to such countries of law, where the Institute of Jury trial contains not only its legal, but the cultural-interreligious significance to the nation. The main direction of our topic is this issue, and the review the problems arising due to unreasonability of jury trial's verdict. Various research methods have been applied us, among them are a relatively-legal, formal-logical and analytical methods, in order to understand the essence of the problem more deeply and discuss the above-mentioned issues in detail.

We considered very important, to review the problem of Nullification. For us this issue is mostly one of the most basic drawbacks of litigation, against which those countries are actively fighting with all possible methods, where this institution operates. Together with our concept of nulification, the main 5 reasons for nulification were discussed, and this is perceived as a significant problem due to international practice. Attention was focused on the resonant and mostly high-profiled criminal cases.

Certainly, review of the problem of nulification would not be full-fledged without taking into the consideration of the protection mechanisms. In more detail, we discussed the importance of the jury trial's selection session, a givens, where parties are given the greatest

opportunity through the direct communication to eliminate the candidates to be prone to unfavorable and biased decisions. In addition, we discussed the importance of giving explanations to the jury trial by the judge in respect with a legal issues at easy and clear understandable language for them. We called for a Summing up principle, which actively operates in those countries, where the jury trial Institute exists and operates. Asking final questions to jurors, in order to foresee why the Jurors came to the appropriate decision. At the one of the sub-chapters of related chapter, the problems arising out of the repeated conduct of the process were discussed, we touched upon the important criminal case in the reality of Georgia, where Jurors regardless of evidences, failed to make a decision and accordingly pursuant to the legislative regulation a new jury trial reviewed the mentioned-case. We set out to launch a new initiative to hear jury answers through prepense questions. Understanding based on what evidences the decision was made, in order to foresee the jury's actions, with the change made, will make them feel more responsible for the decision.

We discussed issues regarding the media influence on the decisions to be made by Jurors . We reviewed those important and resonant cases, where the negative interference of media has been reflected on the made decision. In the same chapter we touched upon the mechanisms, which are actively applied, to protect from the negative interference of media. In this case, it was also discussed how important it is to use international practice, including the practice operating in the United States so-called principle of “no comment“ , when the court binds the parties to not talk about forensic evidence and in general, not to discuss a criminal cases with mass media, in order to ensure that this information does not adversely affect on the final outcome of the case.

Finally, we believe that considering the current changes and future initiatives discussed in the topic, the jury will be further improved and the existing challenge of dealing with the problem of verdict unsubstantiality will be effectively solved.

## სარჩევი

შესავალი .....	7
თავი 1. დასაბუთებული გადაწყვეტილება .....	10
1.1 დასაბუთებული გადაწყვეტილების არსი .....	10
1.2 გადაწყვეტილება და მისი დასაბუთების მიზნები.....	13
თავი 2. ვერდიქტის დაუსაბუთებლობა და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა.....	16
2.1. ნულიფიკაცია.....	17
2.1.1. ნულიფიკაციის ცნება და არსი.....	17
2.1.2. ნულიფიკაციის განმაპირობებელი მიზეზები .....	19
2.1.3. გახმაურებული საკითხების მიმოხილვა ნულიფიკაციის პრობლემის ჭრილში .....	21
2.1.4. ნულიფიკაციისაგან დაცვის მექანიზმები .....	25
2.2 ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის განმეორებით ჩატარებისას არსებული პრობლემატიკა დაუსაბუთებლობის ჭრილში .....	31
3. მედიის გავლენა ნაფიც მსაჯულთა შინაგანი რწმენის ფორმირებაზე .....	34
3.1 საკითხის აქტუალურობა და რეგულაციები სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე .....	34
3.2 ნაფიც მსაჯულებზე მედიის გავლენის კონკრეტული შემთხვევები .....	37
3. 3. მედიის გავლენისაგან დაცვის მექანიზმები .....	40
თავი 4. რეგულაციები და სტანდარტები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისად .....	45
4.1. დასაბუთების სტანდარტი განაჩენებზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რეგულაციების შესაბამისად .....	45
4.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა განაჩენის დაუსაბუთებლობის პრობლემასთან დაკავშირებით.....	47
4.3. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილი დასაბუთების სტანდარტი ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტებზე.....	49
4.4. მიმოხილვითი ანალიზი ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დაუსაბუთებლობის პრობლემატიკასთან დაკავშირებით .....	50
თავი 5. ქართული კანონმდებლობის მიმოხილვა და შედარებითი ანალიზი .....	54
5.1 საქართველოში არსებული სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული ცვლილებების განხილვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან მიმართებით .....	55
5.2 შიდასახელმწიფოებრივი რეგულაციები ნულიფიკაციისგან დასაცავად.....	61

5.3 მედიისაგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები ქართულ კანონმდებლობაში.....	63
დასკვნა .....	65
გამოყენებული ლიტერატურა: .....	67

“მსაჯული ის რჩეული კაცია, რომელსაც აბარია  
ჩვენი ქონება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სიცოცხლე,  
ჩვენი სული და ხორცი, ერთის სიტყვით,  
ჩვენი კაცური კაცობა, ჩვენი ადამიანობა.  
იგი განხორციელებული ნამუსია და განსახორციელებელი  
სინდისია მთელი ერისა, ერის უკეთეს კაცთაგან შემდგომისამებრ  
გაწმენდილი და კუთვნილ სიმაღლეზე დაყენებული.“  
ილია ჭავჭავაძე<sup>1</sup>

## შესავალი

**თემის აქტუალობა:** ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, როგორც ინსტიტუტი საქართველოში 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდა. ნაფიცი მსაჯულები, ვალდებულნი არიან მტკიცებულებათა მოსმენის შემდეგ კოლექტიურად მიიღონ გადაწყვეტილება და ვერდიქტის სახით დაადგინონ „დამნაშავეა“ თუ „უდანაშაულოა“ კონკრეტული პირი. თუმცა, პროფესიონალი მოსამართლისგან განსხვავებით, ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი არ საბუთდება. ისინი მხოლოდ პირის დამნაშავეობა-უდანაშაულობის განსაზღვრით შემოიფარგლებიან, დეტალურად კი არ მიუთითებენ კონკრეტულად რა მტკიცებულებებმა და გარემოებებმა მიიყვანა ისინი ამ დასკვნამდე. თემა თავისი არსით ცალსახად აქტუალურია, ვინაიდან აღნიშნულ საკითხზე ძალზე მცირე ინფორმაციაა ქართულ ენაზე, შესაბამისად ძირითადად მოვიშველიებთ უცხოენოვან ლიტერატურას, განხილვის პროცესში შევხებით ისეთ სამართლის ქვეყნებს, სადაც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი დიდი ხანია არსებობს, ამასთან ვისაუბრებთ იმ მანკიერებებზე და ხარვეზებზე, რომელიც აუცილებელია, გამოსწორდეს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის მეტად დახვეწისა და სრულყოფისათვის.

<sup>1</sup> <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/12msajuli.pdf> - გვერდი მოძიებულია 2020 წლის 2 თებერვალს

**კვლევის მიზანი:** წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დაუსაბუთებლობის საკითხვის განხილვა, მისი დადებითი თუ უარყოფითი მიმართულებების, ჩვენი თვალთ დანახული პრობლემატიკის წარმოჩენა, რომელმაც შესაძლებელია სამომავლოდ ხელი შეუშალოს სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფას. თუმცა მოდით, მანამ, სანამ უშაულოდ თემის განხილვას შევუდგებოდეთ, ძალიან მოკლედ შევხვით საქართველოს ისტორიის წარსულს.

საქართველოში სხვადასხვა ეპოქაში არსებობდა არაერთი შემთხვევა, რომელშიც გარკვეული ჯგუფები და მცირე საზოგადოებრივი სუბკულტურები იღებდნენ კოლექტიური ტიპის გადაწყვეტილებებს, პრაქტიკაში არაერთი ლიტერატურული თუ ისტორიული ნაწარმოები მოწმობს ასეთი ინსტიტუტის ჩანასახებს საქართველოს არცთუ ისე შორეულ წარსულში, თუმცა ძირითადად ასეთი ტიპის გადაწყვეტილებები კოდიფიცირებულ-ნორმატიულ ხასიათს არ ატარებდა და იგი ძირითადად ჩვეულებითი სამართლის პრინციპებს ემყარებოდა. პირველი რესპუბლიკის პერიოდში, 1918-1921 წლებში, ამოქმედდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, თუმცა საბჭოთა ოკუპაციის შემდგომ პერიოდში აღნიშნული ინსტიტუტის ფუნქციონირება დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად შეწყდა.<sup>2</sup>

საქართველოში არსებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და განსაკუთრებით, მის მიერ მიღებული ვერდიქტი, აქტუალური განსჯის საკითხია იურისტებში, რადგან დასაბუთების ვალდებულება ნაფიც მსაჯულებს არ აქვთ. ნაფიცი მსაჯული ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული პირის დამნაშავეობა-უდანაშაულობასთან დაკავშირებით, თუმცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ნაფიც მსაჯულებს არ ავალდებულებს დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება, რაც იურისტთა გარკვეული ჯგუფის მოსაზრებით, სერიოზულ საფრთხეს უქმნის სამართლიანი სასამართლოს პრინციპს და, თავის მხრივ, ბრალდებულს ართმევს უფლებას, გაიგოს თუ რის გამო განხორციელდა მისი მსჯავრდება. სამართლიანი სასამართლოს უფლება ხომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ერთერთ უმნიშვნელოვანეს უფლებად გვევლინება, რომელიც მოსამართლეს ავალდებულებს

---

<sup>2</sup> <http://www.msajuli.ge/index.php?m=797> - გვერდი მოძიებულია 2019 წლის 16 დეკემბერს.



მიიღოს ობიექტური გადაწყვეტილება და გასაგებად, ნათლად დაასაბუთოს, კონკრეტულად რა გარემოებების მხედველობაში მიღებით მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება, რა მტკიცებულებებს დაეყრდნო მსაჯულთა შემადგენლობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მეორეს მხრივ, აღნიშნული კრიტიკული მოსაზრების საპირწონე არგუმენტია, რომ ნაფიც მსაჯულები არიან საზოგადოების წევრები, რომლებიც, საკანონმდებლო რეგულაციიდან გამომდინარე, ვალდებული არიან მიიღონ მტკიცებულებებზე დამყარებული გადაწყვეტილებები. თუმცა ნაფიცი მსაჯულები, რა თქმა უნდა, სამართლებრივად ვერ დაასაბუთებენ მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რადგან ისინი, როგორც წესი, არ წამოადგენდნენ იურისტთა სფეროს და განსხვავებული პროფესიების წარმომადგენლები არიან.

**კვლევის მეთოდები:** ნაშრომის უმთავრესი მიზანია მოხდეს შედარებით-სამართლებრივი, ფორმალურ-ლოგიკური და ანალიტიკური მეთოდის გამოყენება, რათა მოხდეს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის პრობლემატიკის განხილვა და იმ აქტუალური პრობლემების წამოჭრა, რომელთა დახვეწა აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად. ამასთან, აუცილებელია განხილულ იქნეს სხვადასხვა ქვეყნების მაგალითები, რომელთა სამართლებრივ სისტემაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი იმდენი ხანია არსებობს, რომ პრაქტიკულად აღნიშნული ინსტიტუტი ერის კულტურის ნაწილადაა ქცეული. მათი მიმოხილვით-შედარებითი ანალიზი მოგვცემს შესაძლებლობას, უფრო კარგად დავინახოთ ის სხვაობები და უზუსტობები, რომელიც ეროვნულ კანონმდებლობაში არსებობს.

**ნაშრომის სტრუქტურა:** თემა შედგება შესავლის, 5 თავის, 17 ქვეთავისა და დასკვნისაგან, რომლებსაც დეტალურად ქვემოთ გავშლით და ვისაუბრებთ თემაში ჩამოყალიბებულ მნიშვნელობან გარემოებებზე.

## თავი 1. დასაბუთებული გადაწყვეტილება

### 1.1 დასაბუთებული გადაწყვეტილების არსი

დასაბუთება, ნაშრომის მიზნებისთვის, ნიშნავს ფაქტების, მტკიცებულებებისა და მხარეთა არგუმენტების გათვალისწინებით, მსჯელობის შედეგად გადაწყვეტილების მიღებას. გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლემ ასევე უნდა გამოიყენოს სუბსუმფციის ტექნიკა (ქმედების კვალიფიკაცია), სისხლის სამართლის დოგმატიკა და კანონი, მოახდინოს ნორმის ინტერპრეტაცია.<sup>3</sup> განაჩენის დასაბუთებულობა ნიშნავს იმას, რომ ის ემყარება სხდომაზე გამოკვლეულ ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას, მასში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა არგუმენტირებულია, წინააღმდეგ შემთხვევაში გადაწყვეტილება ვერ ჩაითვლება დასაბუთებულად. განაჩენის დასაბუთებულობა მჭიდროდაა დაკავშირებული მის კანონიერებასთან და ვინაიდან კანონი მოითხოვს მის არგუმენტაციას, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება უკანონოც გამოდის.<sup>4</sup>

დასაბუთება ასევე დაკავშირებულია მოტივირებასთან, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს დასკვნებისა და გადაწყვეტილებების ფაქტობრივ და იურიდიულ არგუმენტირებას. სასამართლომ განაჩენში არა მხოლოდ უნდა ჩამოთვალოს, მაგალითად, მოწმეთა გვარები, არამედ ასახოს მათი ჩვენების არსი ან ის მონაკვეთი, რომელსაც დაეყრდნო კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისას, განაჩენში არსებული დასკვნები კი არ უნდა იყოს წინააღმდეგობრივი.<sup>5</sup>

<sup>3</sup> გვენეტაძე ნ., ტურავა მ., სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, რედ.: ძიძიგური ნ., თბ. 2005წ., გვ. 54.

<sup>4</sup> გახოკიძე ჯ., გაბისონია ი., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, თბ., 2012წ., გვ. 305.

<sup>5</sup> გახოკიძე ჯ., გაბისონია ი., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი. თბ., 2012წ., გვ. 307.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი ირიბად ადგენს დასაბუთების ვალდებულებას. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტურად კონვენციაში არ გვხვდება ეს გარანტია, ევროპულმა სასამართლომ თავის არაერთ გადაწყვეტილებაში იმსჯელა ამ საკითხზე.<sup>6</sup>

სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მართლმსაჯულების ძირითადი დოკუმენტია. ერთი მხრივ, მისი მეშვეობით შეჯამებულია გამოძიების ორგანოებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმიანობის შედეგები, ხოლო მეორე მხრივ, განაჩენი ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების საფუძველია,<sup>7</sup> აპელაციის უფლება კი გარანტირებულია ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის 1-ლი პარაგრაფით.

განაჩენის ან ნებისმიერი შემაჯამებელი გადაწყვეტილების დასაბუთების მნიშვნელობა ნათლად ჩანს ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში:

1. განაჩენში შეფასებულია გამოძიების ჩატარების ხარისხი, საგამოძიებო ორგანოების მუშაობა. მხარეთა მიერ თვეებისა და, ხშირად, წლების მანძილზე გაწეული შრომა თავმოყრილია ერთ საპროცესო აქტში. ცხადია, პროცესში მონაწილე მოწინააღმდეგე მხარეებიდან ორივე კმაყოფილი ვერ იქნება გადაწყვეტილებით, თუმცა განაჩენი უნდა ასახავდეს, რომ მათი შრომა დაფასდა, გაზიარებული ან არგუმენტირებულად უარყოფილი იქნა მათი მოსაზრებები.

2. განაჩენით წყდება პირის დამნაშავეობა-უდანაშაულობის საკითხი: მას აღეკვეთება თავისუფლება ვადით ან უვადოდ, ან ადამიანს ართმევენ სიცოცხლის უფლებას (იმ ქვეყნებში, სადაც სიკვდილით დასჯა სასჯელის სახედაა აღიარებული). ამიტომ, რაც უფრო მძიმეა სასჯელი, მით მეტი არგუმენტაცია მოითხოვება, რადგან სწორედ განაჩენია მართლმსაჯულების სარკე, მისი ეფექტურობის ინდიკატორი. აქედან გამომდინარე, სასამართლოს ნებისმიერი შეფასების მოტივირება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებისათვის.

---

<sup>6</sup> Hiro Balani v. Spain §27; Luiz Torija v. Spain §29; Higgins and Othpers v. Spain §42; Garcia Luis v. Spain §26. - ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009წ., სქოლიო 484, გვ. 130.

<sup>7</sup> გახოკიძე ჯ., გაბისონია ი., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, თბ., 2012წ., გვ. 304.

3. ზემდგომი სასამართლოს (როგორც წესი, უზენაესის) გადაწყვეტილებები ადგენენ პრეცედენტს, როგორც პრეცედენტული, ისე საერთო სამართლის ქვეყნებშიც, განმარტავენ კანონებს და ერთგვაროვანი პრაქტიკის გარანტიად გვევლინებიან.

4. განაჩენები მნიშვნელოვანია სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის, ისინი საკანონმდებლო ძალის დემონსტრირებას წარმოადგენს. პარლამენტი ადგენს როგორი უნდა იყოს კანონი, სასამართლო კი განმარტავს, ინტერპრეტაციას უკეთებს და უფარდებს კანონს და აჩვენებს რეალურად როგორია, ასევე განმარტავს როგორ უნდა იყოს ის გამოყენებული. სწორედ ამიტომ განაჩენებს კონსტიტუციური მნიშვნელობაც აქვს.<sup>8</sup>

5. პრეცედენტული სამართლის ქვეყნებში განაჩენებს კანონის ტოლფასი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან კოდიფიცირებული სამართლის არარსებობის გამო სწორედ ისინი ადგენენ წესს, რომელსაც ეყრდნობა მომავალი გადაწყვეტილებები.

6. განაჩენი სასამართლოსა და საზოგადოების ურთიერთობის საშუალებაა. სასამართლოსადმი ნდობა სწორედ განაჩენების მეშვეობით ყალიბდება. რაც უფრო არგუმენტირებულია გადაწყვეტილება, მით უფრო მაღალია საზოგადოების ნდობა სასამართლოს მიმართ. სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების<sup>9</sup> მე-3 ღირებულების 3.2. პარაგრაფის თანახმად, მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა განხორციელდეს, არამედ უნდა გამოჩნდეს კიდევ როგორც აღსრულებული. საზოგადოებისათვის საქმეზე ინფორმაციის საუკეთესო წყარო კი განაჩენია. ამიტომ „საკმარისი არაა გადაწყვეტილება იყოს სწორი და კანონიერი, იგი ამავდროულად სამართლიანი, დასაბუთებული და ადვილად გასაგები ენით უნდა იყოს დაწერილი“<sup>10</sup>; აგრეთვე, „როდესაც გადაწყვეტილება საზოგადოებრივი ინტერესის საგანს შეეხება, ან სავარაუდოდ მედიის დაინტერესებას გამოიწვევს, ისე უნდა დაიწეროს რომ უზრუნველყოფილი იყოს მისი სწორად გაგება. სასამართლო გადაწყვეტილების

<sup>8</sup> Reasons for judgment: objects and observations, Sir Harry Gibbs Law Dinner, University of Queensland, 18 May 2012. - მოძიებულია 2019 წლის 16 დეკემბერს.

<sup>9</sup> სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები, მიღებული 2001წ.

<sup>10</sup> რეკომენდაციები სასამართლოს გადაწყვეტილების შედგენისას გასათვალისწინებელი ძირითადი წესების შესახებ, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბ., 2010. გვ. 7.

დანიშნულებაა განუმარტოს ობიექტურ დამკვირვებელს, რომ გადაწყვეტილება გონივრულია“<sup>11</sup>.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული იმის მაჩვენებელია, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს შემაჯამებელ გადაწყვეტილებებს მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებისათვის და სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანი მათი სათანადო არგუმენტაცია.

## 1.2 გადაწყვეტილება და მისი დასაბუთების მიზნები

გადაწყვეტილების დასაბუთებას გააჩნია ბევრი პრაქტიკული მიზანიც:

1. დასაბუთებული გადაწყვეტილება ერთადერთი შესაძლებლობაა იმის საჩვენებლად, რომ მტკიცებულებები საკმარისია მსჯავრდებისათვის. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *Gradinar v. Moldova* დაადგინა, რომ განმცხადებლის სამართლიანი სასამართლოს უფლება დაირღვა იმის გამო, რომ ზედა ინსტანციის სასამართლოები დაეყრდნენ ქვედა ინსტანციის სასამართლოს განაჩენს და „დასაშვებად მიიჩნიეს „გადამწყვეტი მტკიცებულება“ - ბრალდებულის მიერ საკუთარი თავის წინააღმდეგ მიცემული ჩვენებები - მათ არაფერი თქვეს ქვედა ინსტანციის სასამართლოში მომხდარ კანონდარღვევებზე, რომლებზედაც ადვოკატები მიუთითებდნენ და სხვა ძირითად საკითხებზე, როგორცაა მაგალითად ის ფაქტი, რომ ბრალდებულებს მკვლელობის ჩადენის დროს ჰქონდათ ალიბი. სასამართლომ აღნიშნა, რომ აუხსნელია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ასეთი ხარვეზის არსებობა, რომლის შესახებ რაიმე განმარტება არც მთავრობას გაუკეთებია.<sup>12</sup> სწორედ არგუმენტირების ნაკლებობის გამო სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა. მსჯავრდებულის მიერ საკუთარი მსჯავრის აღქმა, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს სასამართლო გადაწყვეტილებაში მოცემული

<sup>11</sup> რეკომენდაციები სასამართლოს გადაწყვეტილების შედგენისას გასათვალისწინებელი ძირითადი წესების შესახებ, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბ., 2010. გვ. 7

<sup>12</sup> *Ross v. the United Kingdom*, განაცხადი 11396/85, 1986 წლის 11 დეკემბრის განჩინება, ციტ., მაკბრაიდი ჯ., ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, ევროპის საბჭო, 2011წ., გვ. 294.

დასაბუთებიდან. ეროვნულმა სასამართლოებმა კი ნათლად უნდა მიუთითონ ის საფუძვლები, რომლებსაც ემყარება მათი გადაწყვეტილება.

2.განაჩენის დასაბუთება მოსამართლის მიუკერძოებლობის ერთ-ერთი გარანტიაა, რადგან გადაწყვეტილების კითხვისას ვხედავთ, რამდენად ობიექტური იყო მოსამართლე. სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების მე-2 ღირებულების 2.2 პარაგრაფის შესაბამისად, მოსამართლე უნდა იცავდეს და ამალვებდეს მოსამართლისა და სასამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ ნდობას, როგორც საზოგადოების, ასევე იურიდიული პროფესიებისა და მხარეების მხრიდან. მოსამართლე, როგორც სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენელი, სასამართლოს, როგორც ინსტიტუციის სახეა. ამიტომ, რაც უფრო მეტად დასაბუთებს თავის გადაწყვეტილებაში დადგენილ დასკვნებს, მით ნაკლებად დასწამებენ არაობიექტურობას.

3.დასაბუთება თვითნებობისგან დაცვის მექანიზმია.<sup>13</sup> მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს კანონისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე. მოსამართლის შინაგანი რწმენა პროფესიიდან გამომდინარეობს და უყალიბდება ხანგრძლივი განათლების მიღებისა და პრაქტიკის შედეგად. შესაბამისად, იგი განსხვავდება უბრალო მოქალაქის შინაგანი რწმენისაგან, მაგრამ მაინც შეიცავს სუბიექტურობის იმ დოზას, რაც თვითნებობის საფუძველი შეიძლება გახდეს. შინაგანი რწმენა საკმაოდ დიდ დისკრეციას ანიჭებს მოსამართლეს, მისი ჩარჩოში მოქცევის ერთადერთი შესაძლებლობა კი არგუმენტაციაა. რაც უფრო ფართოა ფაქტებისა და მტკიცებულებების კანონშესაბამისი ანალიზი, მით უფრო ვიწროვდება დისკრეციის ფარგლები, აღმოიფხვრება თვითნებობის ელემენტი და დარჩება მხოლოდ მორალი, რაც თავის მხრივ აუცილებელია სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად.

4.„მოტივირებული გადაწყვეტილების უფლება შეიძლება განვიხილოთ მოსმენის უფლების ერთ-ერთ ასპექტად“.<sup>14</sup> დასაბუთებულ განაჩენში გამოჩნდება მოუსმინეს თუ

---

<sup>13</sup> სუნდე ლ. კ., სასამართლოს განაჩენის დასაბუთებულობის ევროპული პერსპექტივა, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, რედ.: კორკელია კ., თბ., 2010. გვ. 145.

<sup>14</sup> ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009წ., გვ. 129.

არა მხარეებს,<sup>15</sup> რომელთაც აქვთ მოლოდინი ამ შემაჯამებელი დოკუმენტის მიმართ და სურთ გაიგონ როგორ მივიდა მოსამართლე გადაწყვეტილებამდე. მნიშვნელოვანია მხარეები დარწმუნდნენ, რომ მართლმსაჯულება აღსრულდა, ან როგორც მინიმუმ, მოსამართლემ ყოველმხრივ, მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად განიხილა მათი საქმე.

5.სასამართლო ხელისუფლება ხელისუფლების ერთ-ერთ შტოს წარმოადგენს და მნიშვნელოვანია, რომ ის არ იყოს ზედამხედველობას სრულად მოკლებული და მასზე არსებობდეს გარკვეული სახის კონტროლი, რათა ხშირი არ გახდეს თვითნებური გადაწყვეტილებები. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ სასამართლო ხელისუფლება უნდა იყოს აბსოლუტურად დამოუკიდებელი და უნდა გამოირიცხოს ყოველგვარი ზეწოლა ან თუნდაც ამის საფრთხე. ზემდგომი ორგანოს ან ხელისუფლების სხვა ინსტიტუტის მიერ კონტროლის განხორციელებას მუდამ თან ახლავს ეს საფრთხე. ამიტომ მეთვალყურეობის ყველაზე ნაკლებ რადიკალური ფორმა - საზოგადოების კონტროლი, მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს სასამართლოზე, როგორც ხელისუფლების შტოზე. მართალია, საჯაროობის პრინციპიდან გამომდინარე, ყველას შეუძლია პროცესებზე დასწრება, მაგრამ საზოგადოება მხოლოდ მაშინ შეაფასებს მართლმსაჯულების აღსრულების ხარისხსა და ეფექტურობას, როდესაც არგუმენტირებულ გადაწყვეტილებას იხილავს.<sup>16</sup>

6.არგუმენტირებული გადაწყვეტილება ასევე ძალიან მნიშვნელოვანია საჩივრის სწორად ჩამოსაყალიბებლად. რაც უფრო არგუმენტირებულია სასამართლოს პოზიცია, მით ადვილია მხარის პოზიციის ჩამოყალიბება, თუნდაც ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებისას. სწორედ ამიტომ განაჩენი არ უნდა იყოს დამყარებული მოსამართლის სუბიექტურ შეხედულებებზე, გადაწყვეტილება არ უნდა ასახავდეს მხოლოდ მოსამართლის აზრს.<sup>17</sup>

<sup>15</sup> ტატიშვილი რუსეთის წინააღმდეგ, განაცხადი 1509/02, 2007 წლის 9 ივლისის განჩინება, §58.

<sup>16</sup> სუნდე ლ. კ., სასამართლოს განაჩენის დასაბუთებულობის ევროპული პერსპექტივა, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, რედ.: კორკელია კ., თბ., 2010. გვ. 145.

<sup>17</sup> Paul R, Elder L. (1996), მოძიებულია 17.05.2019, [www.criticalthinking.org](http://www.criticalthinking.org)

7. არგუმენტირებული გადაწყვეტილება ხელს უწყობს გასაჩივრების უფლების რეალიზაციას. ევროპულმა სასამართლომ საქმეში *Ross v. United Kingdom* აღნიშნა, რომ „მიუხედავად იმისა, რომ მე-6 მუხლი სისხლის სამართლის პროცესში გასაჩივრების უფლებას არ უზრუნველყოფს, მაშინ როცა ეროვნული კანონმდებლობა უშვებს საჩივრის შეტანას სისხლისსამართლებრივი ბრალდების გადასინჯვის თვალსაზრისით, მე-6 მუხლის გარანტიები ძალაში რჩება სააპელაციო პროცესებთან მიმართებითაც. ეს პროცესი სამართალწარმოების მთელი პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომელიც იკვლევს მოცემული სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობას“.<sup>18</sup> ევროკონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით გარანტირებულია გასაჩივრების უფლება, იმისათვის, რომ მხარეებს შეეძლოთ გადაწყვიტონ გამოიყენონ თუ არა ეს უფლება, სასამართლო ვალდებულია მკაფიოდ და სრულად გადმოსცეს ის საფუძვლები, რომელთაც გადაწყვეტილება ემყარება.<sup>19</sup> დაუსაბუთებელმა გადაწყვეტილებამ ხელი არ უნდა შეუშალოს მხარეს გასაჩივრებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა სამართლიანი სასამართლოს უფლება.<sup>20</sup>

## თავი 2. ვერდიქტის დაუსაბუთებლობა და მასთან დაკავშირებული პრობლემატიკა

<sup>18</sup> მაკბრაიდი ჯ., ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, ევროპის საბჭო, 2011წ., გვ. 308.

<sup>19</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია # R (95) 5, 1995წ., 7 თებერვალი, თავი 2, მუხ., 2, პუნქტი ბ.

<sup>20</sup> *Salov v. Ukraine*, განაცხადი 65518/01, 2005 წლის 6 სექტემბრის განჩინება.



## 2.1. ნულიფიკაცია

ვერდიქტის დაუსაბუთებლობის ძირითად მიზეზად, პირველ რიგში, ნულიფიკაციის პრობლემა გვევლინება, რაც ნაფიც მსაჯულთა მიერ სამართალწარმოების ძირითადი ნაკლია და რომელსაც აქტიურად და ყველა შესაძლო მეთოდით ებრძვიან ის ქვეყნები, სადაც ეს ინსტიტუტი მოქმედებს. ნულიფიკაციის პრობლემა აქტუალურია განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებშიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის დასაბუთების არანაირი მექანიზმი არ მოქმედებს. ამასთანავე, ყველა ქვეყანაში, სადაც მართლმსაჯულებას მსაჯულები ახორციელებენ, მათი თათბირის საიდუმლოება დაცულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ვერასდროს გავგებთ რატომ მივიდნენ კონკრეტულ დასკვნამდე.

### 2.1.1. ნულიფიკაციის ცნება და არსი

„ბლექის ლექსიკონში ნულიფიკაცია განიმარტება, როგორც „ნაფიც მსაჯულთა მიერ გაცნობიერებულად და წინასწარგანზრახულად მტკიცებულების უგულებელყოფა, ან კანონის გამოყენებაზე უარის თქმა, რითაც მსაჯულებს სურთ მიანიშნონ ის, რომ მოცემულ სოციალურ საკითხს უფრო ფართო განზომილება აქვს ვიდრე კონკრეტულ საქმეს, ან ის, რომ კანონის მოთხოვნა საქმის იურიდიულ შედეგებთან დაკავშირებით ეწინააღმდეგება მათ შეხედულებებს სამართლიანობაზე ან მორალზე“<sup>21</sup>. ანუ ეს არის ბრალდებულის უდანაშაულოდ ცნობა მაშინ, როდესაც მტკიცებულებათა ერთობლიობა უტყუარად მეტყველებს მის დამნაშავეობაზე. აუცილებლად უნდა განვასხვავოთ ნულიფიკაციისაგან ფაქტის ან კანონის არასწორი გაგება მსაჯულთა მიერ: პირველის არსებობის დროს მსაჯულები ხვდებიან, ხშირად რწმუნდებიან კიდეც, რომ ბრალდებული დამნაშავეა, მაგრამ სხვადასხვა მოტივებით იყენებენ “უფლებას”, გაათავისუფლონ დამნაშავე. მეორე შემთხვევაში, მსაჯულები არაგანზრახ ამართლებენ

---

<sup>21</sup> რეხვიაშვილი თ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ანალიტიკური მიმოხილვა, საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტი, კანონშემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფის განყოფილება, 2010წ., გვ. 15.

იმის გამო, რომ მათ სწორად ვერ აღიქვს ფაქტები ან გაიგეს კანონი, ეს შეიძლება იყოს მოსამართლის მიერ ცუდად შედგენილი ინსტრუქციების ან ძირითადად, მსაჯულთა არაპროფესიონალიზმის ბრალი. „ნაფიც მსაჯულთა ჟიური ერთადერთი სასამართლო სტრუქტურაა... რომელსაც თვითონ კანონი ანიჭებს უფლებას კანონის მოთხოვნის მიუხედავად (პრაქტიკულად კი – მის წინააღმდეგაც), შინაგანი რწმენის, სინდისის, გამოცდილების, ცხოვრებისეული კრედოს (ანუ არანორმატიული ფენომენების) შესაბამისად გადაწყვიტოს განსასჯელის ბედი” .<sup>22</sup>

ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი მოსამართლე (Chief Judge) ბაზელონი, ნაფიც მსაჯულთა ნულიფიკაციის არსის შესახებ აცხადებს:

“ ჩემი აზრით, სისხლის სამართლის პროცესში ნულიფიკაცია ემსახურება მნიშვნელოვან მიზანს. დოქტრინა ნებას რთავს მსაჯულებს სისხლის სამართლის საქმეებზე განახორციელონ სამართლიანი და სრულყოფილი მართლმსაჯულება. კანონების ავტორები ბოლომდე ვერ განჭვრეტენ და მხედველობაში ვერ მიიღებენ ყველა საქმეს, რომელშიც ბრალდებულის ქმედება დანაშაულებრივი, მაგრამ არაბრალეულია, ამასთანავე ყველა საქმესთან მიმართებაში ვერ გაავლებენ მკაფიო ზღვარს გაუფრთხილებლობასა და გულგრილობას შორის. ამიტომ სწორედ ნაფიცი მსაჯულები არიან საზოგადოების წარმომადგენლები სხდომის დარბაზში, რომლებიც საზოგადოებრივი აზრისა და ფასეულობების გათვალისწინებით, ამ ძნელად შესამჩნევ ზღვრებს აღმოაჩენენ .”<sup>23</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ციტატის ავტორი ფიქრობს, რომ ნაფიცი მსაჯულები ხშირად და უსამართლოდ არ გამოიყენებენ ამ პრივილეგიას, ვერ დავეთანხმებით მის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ნაფიცი მსაჯულები ნულიფიკაციის დროს საზოგადოების აზრს წარმოადგენენ და მისი ფასეულობების მიხედვით იღებენ გადაწყვეტილებას. ხალხს არ სურს საზოგადოებრივად საშიში პირები მათ გვერდით, ხოლო როდესაც დამნაშავეს ამართლებ (თუნდაც ჩემი აზრით ყველაზე გამართლებული

<sup>22</sup> გაბისონია ი., ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები, გამომც.: “მერიდიანი”, თბ., 2008წ., გვ. 332.

<sup>23</sup> Kamisar Y., LaFave W.R., Israel J.H., King N.J., Advanced Criminal Procedure, eleventh edition, 2005, pg. 1387.

მოტივით უსამართლო კანონისათვის წინააღმდეგობის გაწევის გამო), ამით საზოგადოებას სიკეთეს არ უკეთებ. ამის ნათელი დასტურია ნულიფიკაციის შემთხვევებში აშშ-ში მასობრივი პროტესტის ტალღები, განსაკუთრებით კი გამოვყოფთ როდნი კინგის საქმეს, რომლის შემთხვევაშიც ლოს ანჯელესის დიდი ნაწილი პროტესტისა და მეტისმეტი მრისხანების გამო ამბოხებულებმა დაარბიეს და გადაწვეს; ასევე მოვიხმობთ 1991 წელს მომხდარ ფაქტს, როცა პოტლი და რენდლი მსაჯულებმა გაამართლეს მსჯავრდებულ ჯორჯ ბლეიქის ციხიდან გაქცევის ორგანიზების საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ მათ აღიარეს დანაშაულის ჩადენა წიგნის გამოცემით - „როგორ გავათავისუფლეთ ჯორჯ ბლეიქი და რატომ“.<sup>24</sup> აგრეთვე, ძნელია დაეთანხმო იმ აზრს, რომ ნაფიც მსაჯულებს შეუძლათ იმ რთულად გასამიჯნი ზღვრების ნათლად დანახვა, როგორცაა უკანონობა და არაბრალეულობა, ან გაუფრთხილებლობა და გულგრილობა. ეს საკმარის ძნელად აღსაქმელი საკითხებია, რომელთა ერთმანეთისგან გარჩევა პროფესიონალ იურისტებსაც უჭირთ.<sup>25</sup> მსაჯულები ხშირად ვერ ახერხებენ სწორედ ასეთი საკითხების განსხვავებას. ამის ერთ-ერთი მაგალითია ვერა ზასულიჩის საქმე, რომელშიც მსაჯულებმა გამამართლებელი ვერდიქტი გამოიტანეს და ეს იმით ახსნეს, რომ ბრალდებული “სასჯელს არ იმსახურებდა” .<sup>26</sup>

### 2.1.2. ნულიფიკაციის განმაპირობებელი მიზეზები

1. აშშ-ში ნულიფიკაციის ყველაზე გავრცელებულ მიზეზად ბოლო ათწლეულების განმავლობაში რასობრივი მოტივები აღიქმებოდა. ამის ყველაზე გახმაურებული და მკვეთრი მაგალითი 90-იან წლებში მომხდარი როდნი კინგის საქმეა, რომელშიც ნაფიცმა მსაჯულებმა გაამართლეს 3 პოლიციელი, რომლებსაც სიჩქარის გადაჭარბების გამო,

<sup>24</sup> ვიდმარი ნ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები) სამართალი და თანამედროვე პრობლემათიკა, თბ., 2005წ., გვ. 57

<sup>25</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1987 წლის 17 სექტემბერს მიღებული N R (87) 18 რეკომენდაციით, ისინი ურჩევენ წევრ სახელმწიფოებს ფინანსური, ეკონომიკური და სხვა განსახილველად რთული საქმეები, რომლებიც შესაბამის მომზადებას, ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს, გადასცენ სპეციალურად ასეთი კვალიფიკაციის მქონე მოსამართლეებს. ამის გამო რთულია, დაეთანხმო იმ აზრს, რომ არაიურისტი მსაჯულები ასეთი საქმეების განხილვას დამაკმაყოფილებლად გაართმევენ თავს.

<sup>26</sup> გაბისონია ი., ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები, გამომც.: “მერიდიანი”, თბ., 2008წ., გვ. 335.

ახალგაზრდა შავკანიანი მძღოლის სასტიკ ცემაში ედებოდათ ბრალი, მიუხედავად იმისა, რომ მსაჯულებს მტკიცებულების სახით წარედგინათ ვიდეოჩანაწერი, სადაც ჩანს პოლიციელთა სახეები, მათმინც გამამართლებელი ვერდიქტი მიიღეს. იმ პერიოდში რასობრივი დისკრიმინაციის პრობლემა დიდი სიმწვავეით იდგა შეერთებულ შტატებში, ნაფიც მსაჯულთა კოლეგიაში კი არც ერთი შავკანიანი მსაჯული არ მოხვდა.

2. მეორე მიზეზია უარი, მსაჯულთა აზრით “ცუდი” კანონის გამოყენებაზე - „მსაჯულები სამართლიანობის, ჰუმანურობის სულისკვეთების ან კანონმდებლობის უსამართლობის მოტივით ამართლებენ დამნაშავეებს” და “პროტესტს უცხადებენ” ობიექტურად, ან მათი აზრით, უსამართლო ნორმებს.<sup>27</sup> ვფიქრობ, ეს გაცილებით ნაკლებ გასაკიცხი მიზეზია, ვიდრე დანარჩენები, მაგრამ არღვევს და ძირს უთხრის მართლმსაჯულების პრინციპებს და საფუძვლებს, რადგანამ შემთხვევაში, რეალურად, არა მხოლოდ დაუსაბუთებელი, არამედ უკანონო გადაწყვეტილების მიღებაც ხდება.

3. სიმპათიები ბრალდებულის მიმართ, ანტიპათია სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის მიმართ, ან ორივე ერთად - ასეთს ადგილი ჰქონდა ო.ჯ. სიმპსონის საქმეში, სადაც მსაჯულებმა გაამართლეს ყოფილი ფეხბურთელი, მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულებათა ერთობლიობა აშკარად მიუთითებდა მის საწინააღმდეგოდ. ყოფილი მეუღლისა და მისი საყვარლის მკვლელობაში ბრალდებული სიმპსონის ადვოკატებმა, ალიზის უქონლობის გამო, საკუთარი პოზიცია ჩამოაყალიბეს არა ბრალდებულის დამნაშავეობა-უდანაშაულობაზე დაყრდნობით, არამედ დააფუძნეს იმ უამრავ დარღვევას, რომელსაც ადგილი ჰქონდა მტკიცებულებათა შეგროვების დროს სამართალდამცავ ორგანოთა მხრიდან. ბრალდებულის მიმართ სიმპათიისა და საგამომიებო ორგანოებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამო ო.ჯ. სიმპსონი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი.

4. დოქტრინაში წინასწარ განუზრახველ, “გაუცნობიერებელ ნულიფიკაციის” მიზეზად ასახელებენ ასევე შემთხვევებს, როდესაც მსაჯულები ვინმეს გავლენის ქვეშ მოქცევის, არაკომპეტენტურობის, დაბნეულობის, კანონის არასწორად გაგების, შეცდომის გამო

---

<sup>27</sup> ჭაჭუა ვ., კონსტიტუციური ნოვაცია - ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ჟურნ.: “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2006, 63.

ამართლებენ დამნაშავეს. <sup>28</sup>მიმაჩნია, რომ ეს არაა ნულიფიკაცია და შედის “ფაქტის ან კანონის არასწორად გაგებასა და აღქმაში”.

5.აშშ-ს ისტორიაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ნაფიც მსაჯულებს გაუთავისუფლებიათ გაუპატიურებისათვის ბრალდებული პირი იმის გამო, რომ მსხვერპლი თავისი ჩაცმულობისა და ქცევის გამო ამას იმსახურებდა. ერთ-ერთი ასეთი სხდომის შემდეგ უფროსმა მსაჯულმა განაცხადა, რომ ყველა მსაჯულს დარჩა შთაბეჭდილება, რომ მსხვერპლმა თავად გამოიწვია პროვოცირება თავისი ჩაცმულობი. <sup>29</sup>

### 2.1.3. გახმაურებული საკითხების მიმოხილვა ნულიფიკაციის პრობლემის ჭრილში

აშშ-ში ნაფიცი მსაჯულები არ ასაბუთებენ ვერდიქტს, დაცულია მათი თათბირის საიდუმლოება, მოსამართლეს არ აქვს უფლება ვერდიქტის გამოტანის შემდეგ დაუსვას მათ კითხვები, არ კონტროლდება მედია-საშუალებების მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია, ამ ფაქტორების ერთობლიობის გამო ამ ქვეყანაში ხშირად ხდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნულიფიკაცია. უამრავი შემთხვევიდან გამოვყოფთ ორ ყველაზე გახმაურებულს, რომელთა შედეგები არასდროს დაავიწყდება აშშ-ს სასამართლო სისტემას.

საქმეში, California v. Orenthal James Simpson <sup>30</sup>, ყოფილ ფეხბურთელს ედავებოდნენ ყოფილი მეუღლისა და მისი მეგობრის სასტიკ მკვლელობას.

დაცვის მხარის აზრით, „ეს იყო უტყუარი მტკიცებულებებით სავსე საქმე, რომელიც ბრალდების მხარემ წააგო უამრავი შეცდომის დაშვების გამო. როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვერ ამტკიცებენ ბრალდებულის დამნაშავეობას და ამ მიზნით მტკიცებულებათა გაყალბებას მიმართავენ, ნაფიც მსაჯულთა ფუნქციად სწორედ რომ სახელმწიფოს თვითნებობისგან ბრალდებულის დაცვა იქცევა.“

<sup>28</sup> გაბისონია ი., ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები, გამომც.: “მერიდიანნი”, თბ., 2008წ., გვ. 333.

<sup>29</sup> Andre C., Velasquez M., (2010), The Just World Theory, Santa Claire University, გვერდი მოძიებულია 2019 წლის 19 დეკემბერს, <http://www.scu.edu/ethics/publications/iie/v3n2/justworld.html>

<sup>30</sup> Linder D. (2000), The Trial Of Orenthal James Simpson, University of Missouri-Kansas City, გვერდი მოძიებულია 2019 წლის 19 დეკემბერს

<http://law2.umkc.edu/faculty/projects/ftrials/simpson/simpsonaccount.htm>

პროკურატურის ვალი არა მხოლოდ ბრალდებაა, არამედ ბრალდებულის კანონიერი ინტერესების პატივისცემა, სამართლიანობის დაცვა და ობიექტურობა“ (ალან დერშოვიცი, სიმპსონის ადვოკატი და ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი).<sup>31</sup>

„როდესაც ნათლად წარმოჩინდა, რომ მინიმუმ რამდენიმე მტკიცებულება გაყალბებულია, არც ერთი პოლიციელის ნდობა აღარ შეიძლებოდა, ამიტომ დაცვის მხარემ ძალიან მარტივად მოახდინა ბრალდების მხარის მოწმეთა იმპიჩმენტი“ (დოქტორი ჰენრი ლი, დაცვის მხარის სასამართლო ექსპერტი სიმპსონის საქმეზე).<sup>32</sup>

მტკიცებულებათა გაყალბების ფაქტი დადგინდა სხდომის მიმდინარეობისას, როდესაც დაცვის მხარემ მოითხოვა ო.ჯ.-ის საძინებელში ამოღებულ წინდებზე არსებულ სისხლის კვალთან დაკავშირებით განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის შედეგად დადგინდა, რომ სისხლის წვეთები შეიცავდა ქიმიურ ნივთიერება EDTA-ს.<sup>33</sup> დაცვის მხარის ექსპერტის თქმით, ეს არის ნივთიერება, რომელსაც ექსპერტები იყენებენ იმისათვის, რომ სისხლი ქსოვილზე არ შედედდეს. აღნიშნული ნივთიერება ბუნებრივად ვერანაირად ვერ მოხვდებოდა სისხლში, ასევე ხაზგასასმელია, რომ ის აღმოაჩინეს მხოლოდ სისხლის წვეთებზე და არა წინდის დანარჩენ ნაწილზე, რაც სერიოზულ ეჭვს ქმნის იმისას, რომ სისხლის წვეთები სპეციალურად მოახვედრეს წინდაზე.

ნაფიცმა მსაჯულებმა ერთხმად გაამართლეს სიმპსონი წარდგენილ ორივე ბრალდებაში, რამაც მთელი ამერიკის აზრი ორად გაყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთი წლის შემდეგ სიმპსონის წინააღმდეგ დაწყებულ სამოქალაქო პროცესში მან წააგო და სხდომის განმხილველმა მსაჯულებმა დააკისრეს მილიონობით დოლარის გადახდა ნიკოლ ბრაუნის ოჯახისათვის.

<sup>31</sup> Frontline (4.11.2005), The O.J. Verdict, interview Alan Dershowitz, გვერდი მოძიებულია 2019 წლის 20 დეკემბერს <http://www.pbs.org/wgbh/pages/frontline/oj/interviews/dershowitz.html>

<sup>32</sup> Frontline (4.11.2005), The O.J. Verdict, interview Alan Dershowitz, გვერდი მოძიებულია 2019 წლის 20 დეკემბერს <http://www.pbs.org/wgbh/pages/frontline/oj/interviews/dershowitz.html>

<sup>33</sup> The United States Department of Justice, (april 1997), special report გვერდი მოძიებულია 2019 წლის 20 დეკემბერს <http://www.justice.gov/oig/special/9704a/07simpso.htm>

„რაც შეეხება უსამართლოდ გათავისუფლების პრობლემას: აუცილებელია შევნიშნოთ ძალიან ძლიერი შინაგანი რწმენა, რომელიც აიძულებს ნაფიც მსაჯულებს ბრალდებულის გათავისუფლებას. როდესაც დამნაშავე საშიშია საზოგადოებისათვის, ნაკლები შანსია ნულიფიკაციის უფლებამოსილების გამოყენებისა“ (უმაღლესი მოსამართლე ბაზელონი).<sup>34</sup> ვერ დავეთანხმებით მოსამართლის პოზიციას, რადგან სწორეს ეს და მსგავსი საქმეები საწინააღმდეგოს ადასტურებს. სხვებისგან განსხვავებით, სიმპსონის საქმე იმითაა გამორჩეული, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნულიფიკაციის შემდეგ, სამოქალაქო საქმის განმხილველმა მსაჯულებმა სიმპსონი, ფაქტობრივად „დამნაშავედ სცნეს“ და მილიონობით დოლარის გადახდა დააკისრეს.

როდესაც მხარე მსაჯულებს წარუდგენს მტკიცებულებათა იმ ოდენობის ერთობლიობას, როგორც განხილულ საქმეში, ამ ყველაფრის მიუხედავად კი მსაჯულებს შეუძლათ ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე გაათავისუფლონ ბრალდებული, მხარეს და საზოგადოებას რჩება უსამართლობის განცდა და მართლმსაჯულებაზე საუბარიც ყოველგვარ აზრს კარგავს. ის ფაქტი, რომ აშკარად გამოხატული ნულიფიკაციის შემთხვევაშიც კი არ შეიძლება გამამართლებელი ვერდიქტის გასაჩივრება, გზას უხსნის მსაჯულებს თვითნებობისაკენ.

როდნი კინგის საქმე<sup>35</sup> - 1991 წლის 3 მარტს, ლოს ანჟელესში, მეგობრის სახლიდან ავტომანქანით მომავალ შავკანიან ახალგაზრდას, როდნი კინგს პოლიცია დაედევნა და გაჩერება უბრძანა. იმის გამო რომ კინგი ნასვამი მართავდა მანქანას, არ დაემორჩილა პოლიციელებს და გზა განაგრძო. როდესაც დევნაში პოლიციის ვერტმფრენიც ჩაერთო, კინგმა მანქანა გააჩერა. მანქანაში მყოფი მისი ორი მეგობარი პოლიციამ ინციდენტის გარეშე დააკავა, კინგს კი გადმოსვლა და ძირს დაწოლა უბრძანეს. ამის შემდეგ რამდენიმე პოლიციელმა ფეხითა და რეზინის ხელკეტებით სასტიკად სცემა ახალგაზრდას, ურტყამდნენ მთელ სხეულზე, მათ შორის სახისა და თავის არეში

---

<sup>34</sup> Kamisar Y., LaFave W.R., Israel J.H., King N.J., Advanced Criminal Procedure, eleventh edition, 2005, pg. 1387.

<sup>35</sup> Linder D.(2001) The trials of Los Angeles police officers' in connection with the beating of Rodney King, გვერდი მოძიებულია 2019 წლის 20 დეკემბერს.

<http://law2.umkc.edu/faculty/projects/ftrials/lapd/lapdaccount.html>

შემახილებით: „მოგკლავთ, ნეგრო!“ კამერით გადაღებულ კადრში ჩანს, როგორ სცადა ხელეზღვეულმა კინგმა წამოდგომა და თავის დაღწევა, მაგრამ წაიქცა, პოლიციელებმა კი გააგრძელეს მისი ცემა. ეს ყველაფერი სამოყვარულო კამერაზე გადაიღო იქვე მეზობლად მცხოვრებმა მამაკაცმა და მოკლე ვადაში გაავრცელა საქვეყნოდ. ვიდეომ დიდი გამოხმაურება გამოიწვია და კინგი გამოუშვეს ბრალის წაყენების გარეშე.

ვინაიდან საზოგადოების უკიდურესი დაინტერესების გამო სხდომა დანაშაულის ჩადენის ადგილზე ვერ ჩატარდებოდა, საქმის განხილვის ტერიტორია შეცვალეს და ნაფიც მსაჯულთა შერჩევა დაიწყო კალიფორნიის ერთ-ერთ ქალაქში, სიმი ვალიში. 260-კაციან მსაჯულობის კანდიდატთა შორის მხოლოდ 6 შავკანიანი იყო, საბოლოოდ კი 12-კაციან ჟიურიში ვერც ერთი ვერ მოხვდა.

როდნი კინგის საქმე ბევრი ასპექტითაა მნიშვნელოვანი, მაგრამ ნაშრომის მიზნებისათვის გამოვყოფთ მხოლოდ ერთს - ნულიფიკაციის „ლეგიტიმაციის“ ფაქტს: აშშ-ს კანონმდებლობით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილება არანაირი გზით არ საბუთდება, მსაჯულებმა შესანიშნავად იციან თავიანთი შესაძლებლობების შეუზღუდავობა და ის, რომ „შეუძლიათ არ შეიბოჭონ სასამართლოს მიერ მიცემული ფორმალური ხასიათის ინსტრუქციებით“,<sup>36</sup> რადგან სასამართლო მაინც ვერანაირად ვერ შეამოწმებს რამდენად გაიზიარეს მსაჯულებმა ისინი. ამით მსაჯულებს ვაძლევთ ძალიან საშიშ იარაღს - ნულიფიკაციის უფლებას, რამაც არა მხოლოდ დაზარალებულის, არამედ სახელმწიფოს ინტერესების შელახვაც შეიძლება გამოიწვიოს. მსაჯულები ხედავენ ძალიან ბევრ ინდიკატორს იმისას, თუ რამდენის უფლება გააჩნიათ: მაგალითად „მოსამართლე აფრთხილებს მსაჯულებს, რომ უნდა გაათავისუფლონ, თუკი პირის დამნაშავეობა გონივრულ ეჭვს მიღმა არ დასტურდება, თუმცა ასე ზედმიწევნით არ ეუბნება იმას, რომ მსჯავრი უნდა დასდონ, თუკი ეს დამტკიცდება.“<sup>37</sup>

<sup>36</sup> Kamisar Y., LaFave W.R., Israel J.H., King N.J., Advanced Criminal Procedure, eleventh edition, 2005, pg. 1386.

<sup>37</sup> Kamisar Y., LaFave W.R., Israel J.H., King N.J., Advanced Criminal Procedure, eleventh edition, 2005, pg. 1386.



#### 2.1.4. ნულიფიკაციისაგან დაცვის მექანიზმები

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მქონე ქვეყნები სხვადასხვა მეთოდებით ცდილობენ ნულიფიკაციის პრობლემის მოგვარებას. მათ მიერ არჩეული გზები სრულიად განსხვავებულია თითოეულის სამართლებრივი სისტემიდან, ტრადიციებიდან, სამართლის ძირითადი პრინციპებიდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე. ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რაც შეიძლება გატარდეს ნულიფიკაციის თავიდან ასაცილებლად, არის შემდეგი:

1. ნულიფიკაციის პრევენცია საექვო ან არასასურველი მსაჯულების გაცხრილვით - ეს ხდება ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე და შეიძლება განხორციელდეს შემდეგნაირად:

პირველ რიგში საჭიროა მარტივად შეითხვის დასმა აქვთ თუ არა წინასწარ ჩამოყალიბებული პოზიცია საქმესთან დაკავშირებით; დღესვე რომ შეეძლოს ბრალდებულის მიმართ ვერდიქტის გამოტანა, რა სახის ვერდიქტი იქნებოდა ეს; თუ წარმოიდგენდა, რომ უკვე შერჩეულია ნაფიც მსაჯულად, მოსმენილი აქვს მტკიცებულებები და დარწმუნებულია ბრალდებულის დამნაშავეობაში, თუმცა იცის, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება მკაცრად დაისაჯოს ბრალდებული, რამდენად შეძლებდა პირის განტყუებას. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია დაუსაბუთებელი აცილებების უფლება, რათა ნებისმიერი საექვო მსაჯულობის კანდიდატი ჩამოშორებულ იქნას. მიმაჩნია, რომ აუცილებელია პოტენციურ მსაჯულებს ჯერ განემარტოს, ხოლო შემდგომ დაესვას შეკითხვები კანონთან დაკავშირებით, მაგალითად როგორ ესმით უდანაშაულობის პრეზუმფცია, გონივრულ ექვს მიღმა სტანდარტი, ინსტრუქციების სავალდებულოობა და სხვ. ამ თვალსაზრისით ახსნის მეთოდუკას აქვს არსებითი მნიშვნელობა, მაგალითების გამოყენება, თავლსაჩინოებების წარდგენა. ხშირია შემთხვევა, როცა კონკრეტული სამართლებრივი ტერმინის განმარტებას, თუნდაც ისეთი როგორც გონივრულ ექვს მიღმა სტანდარტია, რთული ასახსნელია, ვინაიდან იურისტებისათვისაც ბოლომდე მარტივად გადმოსაცემი არაა ის ზღვარი, რომელსაც გონივრულ ექვს მიღმა სტანდარტის ახსნისას გამოიყენებენ. ასეთ

დროს მნიშვნელოვანია, რომ ნაფიც მსაჯულებს თავლსაჩინოებებისა და მაგალითების გამოყენებით აეხსნათ აღნიშნული საკითხები. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ბრალდების მხარეს საქართველოში ჩატარებულ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხმოებაში გამოუყენებია მაგალითი და ნაფიცი მსაჯულისთვის უკითხავს, იმ შემთხვევაში თუ პირობითად მას მიუტანენ სურათს ადამიანის გამოსახულებით, ამ სურათზე ადამიანის სრულად არაა გამოსახული და ერთი ხელი აკლია, შეძლებს თუ არა ერთიანი სურათის დანახვას და იმის მტკიცებით ფორმაში თქმას, რომ სურათზე ნამდვილად ადამიანია გამოსახული. ეს მაგალითი თავლსაჩინოა და კარგი საზომია იმისა, თუ რამდენად აქვს ადამიანს რაციონალური, ლოგიკური გააზრების უნარი და შესაძლებლობა ერთიანობაში აღიქვას და დააკავშიროს მოვლენები. მითუმეტეს რომ ასეთი ახსნები ემსახურება მეტი წარმოდგენის შექმნას მსაჯულად შესარჩევ პირზე და ეს იმ პირობებში, როდესაც ჯერ კიდევ მას არ აქვს ბოლომდე და დეტალურად განმარტებული სასამართლოსაგან გამოსაყენებელი კანონის თაობაზე.

აგრეთვე ძალიან მნიშვნელოვანია მსაჯულთა შერჩევის სხდომისათვის მხარის მომზადების ხარისხი, ასევე მსაჯულებთან გასაუბრების სტილი. სასურველია არ მოხდეს თითოეული კანდიდატის ფეხზე წამოყენება და მისთვის შეკითხვების კასკადის დასმა, გამოცდის ფორმით. მსაჯული უფრო გულახდილი იქნება, თუ ის თავისუფლებას იგრძნობს, ამიტომ უმჯობესია გასაუბრება პოტენციურ მსაჯულებთან, დიალოგის ფორმით. ამისათვის საჭიროა ჯერ გავაცნოთ თავი, მოკლედ განვუმარტოთ თუ რას ნიშნავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და რა ფუნქცია აკისრია, რომ თქვენც მათ მსგავსად გარდა მხარისა, ხართ ნაწილი საზოგადოებისა და რომ თქვენ განყენებულ, მათგან იზოლირებულ სუბკულტურას არ წარმოადგენთ. ამასთან საჭიროა, იმისათვის, რომ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატები, იმისატვის რომ უფრო მეტად გაიხსნას და გათავისუფლდნენ ემოციებისგან, აუხსნათ, რომ ის რომ შესაძლებელი სასამართლო დარბაზში პირველად იმყოფებიან, არ ნიშნავს, რომ უნდა შეიბოჭონ, რომ თვი იგრძნონ თავისუფლად, რომ თქვენ მათგან მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის მიღება გსურთ, რომ თქვენს მიერ დასმულ შეკითხვებზე არ არსებობს სწორი ან არასწორი პასუხები, სთხოვეთ მათ რომ თავარია ისინი იყონ გულწრფელნი პასუხის გაცემის მომენტში.

აშშ-ში ძალიან გავრცელებულია სპეციალისტების - „ფსიქოლოგიურ-სამართლებრივი კონსულტანტების“ ჩართულობა მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე. „კონსულტანტები, იყენებენ რა საზოგადოებრივ კვლევებს, ფლობენ ინფორმაციას, თუ რა დამოკიდებულება აქვთ სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს ამა თუ იმ საკითხზე. კონსულტანტები აკვირდებიან ამა თუ იმ კანდიდატის „ხელწერას“, მათი სახის გამომეტყველებას და ჟესტების ენას შესარჩევი ეტაპის დროს და მიდიან დასკვნამდე თუ რომელი კანდიდატია სასურველი თავისი კლიენტისთვის,“<sup>38</sup> ასევე დასაშვებია მსაჯულთა კანდიდატებისთვის შეკითხვების დასმა წინასწარ შემუშავებული პროგრამის მიხედვით, რომესაც კერძო ფირმები ამზადებენ სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური კვლევების საფუძველზე ნაფიც მსაჯულთა „მოდელის“ გამოთვლის შედეგად.

2. მოსამართლის ინსტრუქციები მსაჯულებს - ინსტრუქციების სიზუსტე, ზედმიწევნითობა და გასაგებობა ძალიან უწყობს ხელს ნაფიც მსაჯულთა გარკვევას სამართლებრივ საკითხებში, თუმცა არსებობს განსხვავებული შეხედულებაც, 1993 წელს ინგლისში ჩატარებული „გვირგვინის სასამართლოს გამოკვლევით შესწავლილ იქნა ნაფიც მსაჯულთა შეხედულება მოსამართლის შემაჯამებელი ინსტრუქციის შესახებ 800-ზე მეტ საქმეზე. გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა მიუთითა, რომ მოსამართლის მიერ ფაქტებზე კომენტარს მათთვის გადაწყვეტილების მიღება არ გაუიოლებია.“<sup>39</sup> ასევე არსებობს მოსაზრება, რომ რაც ხანგრძლივია საქმე, მით მეტია ალბათობა, რომ მსაჯულები მოსამართლის მითითებას საჭიროდ არ ჩათვლიან. <sup>40</sup>მიუხედავად ამ პოზიციის ლოგიკურობისა, მიმაჩნია რომ მოსამართლემ, როგორც პროფესიონალმა იურისტმა, აუცილებლად უნდა მიაწოდოს ნაფიც მსაჯულებს ზუსტი განმარტებები კანონის შესახებ. არსებითად მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინებაც, რომ ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაში შესაძლებელია იყვნენ არაიურისტები, რომელთათვისაც არც ისე მარტივია ერთმნეთისაგან გამიჯვნა ისეთი სამართლებრივი საკითხებისა,

<sup>38</sup> ჭაჭუა ვ., კონსტიტუციური ნოვაცია – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ჟურნ.: “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2006. 65

<sup>39</sup> ვიდმარი ნ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები) სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა, თბ., 2005წ., გვ. 54.

<sup>40</sup> ვიდმარი ნ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები) სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა, თბ., 2005წ., გვ. 54.

რომელიც თვით იურისტებშიც კი ცალსახა კონსესუსის საგანი არაა, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ არაიურიდიული, საყოფაცხოვრებო ტერმინოლოგიით, თუ შესაძლებელია მაგალითების გამოყენებითაც გავუმარტივოთ ნაფიც მსაჯულებს საქმე, რათა აღნიშნული განმარტებების მოსმენის შემდგომ მარტივად გამიჯნონ ერთმანეთისაგან რომელი მხარის მიერ ჩამოყალიბებული პოზიციას უფრო გონივრული და რაციონალური.

3. Summing Up - ეს პრინციპი ინგლისში მოქმედებს და ნიშნავს მოსამართლის მიერ მსაჯულებისათვის კანონს განმარტებას სათათბირო ოთახში გასვლამდე. სხდომის თავმჯდომარე მოქმედების საკმაოდ დიდი თავისუფლებით სარგებლობს, მას აქვს უფლება მსაჯულებს თავისი აზრი მიაწოდოს მტკიცებულებათა შესახებ. შემაჯამებელი მიმართვა საათობით შეიძლება გაგრძელდეს და მოიცვას როგორც სამართლის, ისე ფაქტობრივი საკითხები, გამოკვლეული მტკიცებულებები. მოსამართლეს მტკიცებულებათა შეფასებაც შეუძლია, ის განუმარტავს მსაჯულებს რომელი მტკიცებულებაა სანდო. დადებითთან ერთად ამ წესს უარყოფითი მხარეც აქვს, კერძოდ, ეს სხდომის თავმჯდომარის მხრიდან ნაფიც მსაჯულებზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობაა. სწორედ ასეთი ფაქტი დაფიქსირდა საქმეში R v. Bentley, სადაც მოსამართლემ ჟიურის გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანის გარდა სხვა გზა არ დაუტოვა და ბენტლის სამართლიანი სასამართლოს უფლება წაართვა.<sup>41</sup>

მიუხედავად რადიკალური შემთხვევებისა, მაინც მნიშვნელოვნად მიმაჩნია ამ პრინციპის არსებობა, რადგან მართალია, საქვეყნოდ ცნობილი წესის შესაბამისად ნაფიცი მსაჯულები გადაწყვეტილებას იღებენ მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობით, კანონის საკითხებს კი მოსამართლე წყვეტს, მაგრამ „რეალურად, დემარკაციის ხაზები არცთუ ისე სწორხაზოვანია“,<sup>42</sup> იმისათვის რომ არაიურისტი მსაჯულები არ დაიბნენ და ჰქონდეთ სრული ინფორმაცია, საჭიროა ვინმემ სხდომის მნიშვნელოვანი მომენტები შეახსენოს, თუმცა ამ შემთხვევაში მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს საკუთარი აზრის დაფიქსირებისაგან, იყოს მიუკერძოებელი. პრეცედენტები ხდება, როდესაც

<sup>41</sup> ვიდმარი ნ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები) სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა, თბ., 2005წ., გვ. 78.

<sup>42</sup> Pakes F., Comparative Criminal Justice, 2004, pg.100.

მოსამართლე პირდაპირ კარნახობს მსაჯულებს გადაწყვეტილებას, რაც მხარეებმაც არ უნდა დაუშვან, მაგრამ საზოგადოებისათვის საშიში პირების გარეთ გაშვების შესაზღუდად, ყველა ზომა უნდა იქნას მიღებული.

აქვე განვიხილავთ აშშ-ში მოქმედ რადიკალურად განსხვავებულ წესს - No comment - ის პრინციპს. ეს ნიშნავს იმას, რომ მოსამართლე მსაჯულებს მტკიცებულებების შესახებ არაფერს უმარტავს, ეკრძალება მათი შეფასება, საკუთარი აზრის დაფიქსირება, თუმცა მაინც საკმაოდ ძალაუფლებით სარგებლობს, რადგან შეუძლია საერთოს ამორიცხოს ზოგიერთი მტკიცებულება, მაგალითად, ირიბი ჩვენება, რადგან აშშ-ს კონსტიტუციის მე-6 შესწორების შესაბამისად, ბრალდებულს უფლება აქვს დაუპირისპირდეს ბრალდების მოწმეს, <sup>43</sup>ირიბი ჩვენების შემთხვევაში კი ინფორმაციის წყაროსთან დაპირისპირება შეუძლებელია. აშშ-ში დაცვის მხარეს ეკრძალება მსაჯულებისათვის იმის მითითება, რომ მათ აქვთ გამტყუნების უფლება ბრალის დადასტურების მიუხედავად (ნულიფიკაციის უფლების განმარტება), მაგრამ მოსამართლე უთითებს, რომ ვალდებულნი არიან გაამტყუნონ, თუ ბრალდების მხარე საფუძვლიანი ეჭვის გარეშე დაადასტურებს დანაშაულის ყველა ნიშნის არსებობას.<sup>44</sup>

4. შეკითხვების დასმის შესაძლებლობა მსაჯულებისათვის - ეს მეთოდი დეტალურად განვიხილეთ ტაქსკესა და პაპონის საქმეებში, კერძოდ, ბელგიისა და საფრანგეთის კანონმდებლობა ვერდიქტის მიღების შემდეგ, სხდომის თავმჯდომარეს ავალდებულებს შეადგინოს და წარუდგინოს მსაჯულებს შეკითხვები სხდომაზე გამოკვლეულ საკითხებთან დაკავშირებით. ნაფიცი მსაჯულები თითოეულ შეკითხვას სცემენ მხოლოდ „დიახ“ ან „არა“ პასუხს, მაგრამ შეკითხვები იმდენად დეტალურია, რომ თავად ისინი ქმნიან გადაწყვეტილების ჩარჩოს, იქმნება დასაბუთებასთან გათანაბრებული დოკუმენტი, რაც მსაჯულებსაც გარკვეულ შემზღუდველ მექანიზმს უწესებს და ამცირებს ნულიფიკაციის შანსს, მათ იციან, რომ მათი მსჯელობის პროცესს „შეამოწმებენ“.

<sup>43</sup> ვიდმარი ნ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები) სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა, თბ., 2005წ., გვ. 80.

<sup>44</sup> ვიდმარი ნ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები) სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა, თბ., 2005წ., გვ. 80.

5. გამამართლებელი ვერდიქტის გასაჩივრების შესაძლებლობა განსაკუთრებული საფუძვლებით - იმისათვის, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი სათანადოდ დაფასდეს, პატივისცემა დაიმსახუროს და ხაზი გაესვას მის მნიშვნელოვან როლს, მათი გადაწყვეტილების გასაჩივრება რთულია.<sup>45</sup> ეს განსაკუთრებით ეხება გამამართლებელ ვერდიქტს. თუმცა, მაგალითად კანადაში კანონმდებლობა ბრალდების მხარეს ნაფიც მსაჯულთა გამამართლებელი ვერდიქტის გასაჩივრებაზე შეზღუდულ უფლებას ანიჭებს.<sup>46</sup> კანადის სისხლის სამართლის კოდექსი სააპელაციო სასამართლოს აძლევს უფლებამოსილებას ნაფიც მსაჯულთა გამამართლებელი ვერდიქტი საკუთარი გამამტყუნებელი ვერდიქტით ჩანაცვლოს. კოდექსი უშვებს საქმის ხელახალი განხილვის უფლებას, მხოლოდ სამართლებრივ საკითხებზე დაყრდნობით, მაგალითად იმ ფაქტზე, რომ მოსამართლემ ნაფიც მსაჯულებს არასწორი მითითებები მისცა.<sup>47</sup>

სპეციფიკური წესი მოქმედებს ნორვეგიაშიც: საქმის განმხილველ სამ მოსამართლეს შეუძლიათ გააუქმონ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამართლებელი ვერდიქტი, თუკი ისინი ერთსულოვნად თვლიან, რომ განსასჯელი ეჭვის გარეშე დამნაშავეა. ეს უფლება დისკრეციულია და მოსამართლეებს შესაძლებლობას აძლევს საკუთარი აზრის მიუხედავად დაეთანხმონ ვერდიქტს. ვერდიქტის გაუქმების შემთხვევაში საქმეს ხელახლა იხილავს შერეული სასამართლო სამი მოსამართლისა და ოთხი მსაჯულის შემადგენლობით.<sup>48</sup>

6. ესპანური მოდელი, არგუმენტაციის დავალება - „ესპანეთში მსაჯულების ვერდიქტი არ შემოიფარგლება მხოლოდ „დამნაშავე“ ან „უდანაშაულო“ ტერმინით. ისინი ვალდებულნი არიან დაასაბუთონ გადაწყვეტილება, უპასუხონ შეკითხვებს, რომლებიც ეხება ბრალად შერაცხული დანაშაულის ელემენტებს, მაგალითად, განზრახვა, დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებები, ასევე, თვლიან თუ არა,

<sup>45</sup> Pakes F., Comparative Criminal Justice, 2004, pg.100.

<sup>46</sup> ვიდმარი ნ., დასახ. ნაშრ., თბ., 2005წ., გვ. 138-139.

<sup>47</sup> ვიდმარი ნ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები) სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა, თბ., 2005წ., გვ. 138, გვ. 140.

<sup>48</sup> იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), თბ., 2012წ., რედ.: წიქარიშვილი კ., გვ. 51.

რომ ბრალი დამტკიცებულია“.<sup>49</sup> მათ ასევე ეკისრებათ ვალდებულება წერილობით მიუთითონ გამოყენებულ მტკიცებულებათა შესახებ და აღნიშნონ მიზეზი, რატომ გაიზიარეს ან უარყვეს ესა თუ ის ფაქტი.<sup>50</sup> „მსაჯულების არგუმენტაცია ემსახურება გასაჩივრების შესაძლებლობის უზრუნველყოფას და აპელაციისათვის საფუძვლებს ქმნის“.<sup>51</sup> ესპანური მოდელი ვერ ჩაითვლება კლასიკურ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოდ, თუმცა განაჩენის დასაბუთებულობის გარანტია ყველაზე მაღალი სწორედ აქაა. მიუხედავად ამისა, უშუალოდ ნაფიც მსაჯულთათვის იმის დავალება, რომ დაასაბუთონ საკუთარი გადაწყვეტილებები, ვფიქრობ, მეტისმეტად დიდი ტვირთის დაკისრებაა უბრალო მოქალაქეებისათვის, არაიურისტებისათვის და დამაბულობისა და ზეწოლის ელემენტებს შეიცავს.

## 2.2 ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის განმეორებით ჩატარებისას არსებული პრობლემატიკა დაუსაბუთებლობის ჭრილში

ჩვენს მიერ, განხილულ იქნა ნულიფიკაციის პრობლემა, როდესაც ნაფიცი მსაჯულები მიუხედავად იმისა, რომ რწმუნდებიან პირის ბრალდებულობაში ამართლებენ მას. აღნიშნულ თავში მცირედით განსხვავებულ, თუმცა არსებითად პრობლემატურ საკითხს შევხებით. თუმცა მანამ, სანამ უშუალოდ პრობლემის არსს მიმოვიხილავდეთ, მოდით საკანონმდებლო რეგულაციას გავეცნოთ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის თანახმად: „თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 4 საათის განმავლობაში ვერ მოახერხებს გადაწყვეტილებების ერთხმად მიღებას, გადაწყვეტილებები მომდევნო 8 საათის განმავლობაში მიიღება ხმათა შემდეგი უმრავლესობით: თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არანაკლებ 11 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 8 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 10 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 7 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 9 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება,

<sup>49</sup> Pakes F., Comparative Criminal Justice, 2004, pg. 110.

<sup>50</sup> ვიდმარი ნ., დასახ. ნაშრ., თბ.2005, გვ.80.

<sup>51</sup> Pakes F., Comparative Criminal Justice, 2004, pg. 110.

გადაწყვეტილებები მიიღება 6 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 8 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 5 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 7 ან 6 ნაფიცი მსაჯულისაგან შედგება, გადაწყვეტილებები მიიღება 4 ხმით.

თუ ნაფიც მსაჯულს არ შესწევთ უნარი, მიაღწიონ საერთო შეთანხმებას, სხდომის თავმჯდომარე კიდევ ერთხელ განუმარტავს ნაფიც მსაჯულს ვერდიქტის მნიშვნელობას და სთხოვს უფროს ნაფიც მსაჯულს, სხდომის თავმჯდომარეს მოახსენოს, არის თუ არა ისეთი მსაჯული, რომელიც უარს აცხადებს მსჯელობაში მონაწილეობის მიღებაზე ან რომელსაც აქვს ინტერესი საქმის მიმართ, რის შესახებაც არ განაცხადა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის დროს. აღნიშნული განმარტების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე მიმართავს ნაფიც მსაჯულს, დაბრუნდნენ სათათბირო ოთახში და გამოიტანონ ვერდიქტი კანონის შესაბამისად.

თუ სათათბირო ოთახში დაბრუნების შემდეგ ნაფიცი მსაჯულები მომდევნო 3 საათის განმავლობაშიც ვერ მიიღებენ ვერდიქტს ამ მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მოსამართლე მისცემს მათ დამატებით გონივრულ ვადას ან დაითხოვს მათ სრულ შემადგენლობას და დანიშნავს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღს. თუ არც ამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესწევს უნარი, მიიღოს გადაწყვეტილება ამ კოდექსით დადგენილი წესით, ბრალდებული გამართლებულად ითვლება.

სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტი და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი, თუ აღნიშნული ვერდიქტი აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას, უსაფუძვლოა და გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების ერთადერთი შესაძლებლობაა. სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი, გამოიყენოს ამ ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილება მხოლოდ იმ საფუძველით, რომ იგი არ ეთანხმება ნაფიც მსაჯულთა მიერ მოწმის ჩვენების სანდოობის შეფასებას ან რომელიმე მტკიცებულების მნიშვნელობას.<sup>52</sup>

---

<sup>52</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წლის 9 ოქტომბერი.



ამრიგად როდესაც ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობა მოსამართლისაგან საბოლოო განმარტებების მოსმენის შემდგომ სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მისაღებად გასული ვერ იღებს ვედიქტს, სასამართლო ვალდებულია დაითხოვოს შემადგენლობა და დანიშნოს ახალი შერჩევის სხდომა. საქართველოში ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილული 40-მდე საქმიდან მხოლოდ ერთხელ მოხდა აღნიშნული შემთხვევა, როდესაც ნაფიცმა მსაჯულებმა ვერ მიიღეს გადაწყვეტილება. 2015 წელს თბილისის საქალაქო სასამართლო განიხილავდა სისხლის სამართლის საქმეს ბრალდებულ გიორგი ოქროპირიძის მიმართ, რომელსაც ბრალად ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, ასევე 236-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით დანაშაულის ჩადენა, არაერთგზის მკვლელობა და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება. აღნიშნულ საქმეში მიმდინარე სასამართლო პროცესების განმავლობაში ბრალდების ხმარის მიერ დაკითხულ იქნენ პირები, რომელიც ამხელდნენ ბრალდებულ გიორგი ოქროპირიძეს ჩადენილ დანაშაულში, თუმცა ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობამ ვერ მიიღო გადაწყვეტილება, ვინაიდან ხმები განაწილდა 7 ხმა 5-ის წინააღმდეგ, რაც თავის მხრივ ნიშნავდა იმას, რომ უნდა მომხდარიყო განხილველი შემადგენლობის დათხოვნა საკანონმდებლო რეგულაციის შესაბამისად და ახალი შემადგენლობის შერჩევა. აღნიშნული საკითხი თავისი არსით რათქმაუნდა ისეთივე პრობლემატურობით ხასიათდება, როგორც ნულიფიკაცია, ვინაიდან არცერთ შემთხვევაში არც მოსამართლეს და არც მხარეებს არ აქვთ შესაძლებლობა ჩაერიონ თათბირის პროცესში და გაიგონ კონკრეტულად რა გარემოებები გახდა ასეთი აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი. ამასთან პრობლემურია ის საკითხიც, რომ პროცესის განმეორებით ჩატარების შემთხვევაში, ვინაიდან ვედიქტი არ საბუთდება, მხარეთათვისათვის არაა ცნობილი რა გარემოებებზე გამახვილდა ყურადღება ნაფიცი მსაჯულების მიერ და რა მტკიცებულებები იქნა უგულებელყოფილი პროცესის მიმდინარეობისას. შესაბამისად აღნიშნული საკითხი, მეტწილად რჩება პრობლემად, რომელმაც როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, პრაქტიკაში ერთხელ უკვე იჩინა თავი.

### 3. მედიის გავლენა ნაფიც მსაჯულთა შინაგანი რწმენის ფორმირებაზე

#### 3.1 საკითხის აქტუალობა და რეგულაციები სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე

21-ე საუკუნეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მიღწევები განხორციელდა ტექნოლოგიური მიმართულებით. ტექნოლოგიურმა განვითარებამ განაპირობა ინფორმაციის უსწრაფეს რეჟიმში გადაცემა ერთმანეთისგან ყველაზე დაშორებულ წერტილებს შორისაც კი. რაღა თქმა უნდა ეს საკითხი უმნიშვნელოვანეს მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს თანამედროვე ცივილიზაციაში და რასაკვირველია, აღნიშნულმა მიღწევამ შესაძლებელი გახადა ტელევიზიისა და ინტერნეტის გამოყენებით მსმენელისა თუ მაყურებლისათვის საინტერესო ყველა ტიპის ინფორმაციის გადაცემა. თუმცა აღნიშნულ საკითხს თავისი პრობლემა აქვს. ჩვენთვის ამოსავალი წერტილია მედიის მიერ გაჟღერებული ინფორმაციის უზუსტობა, ან შეგნებულად არასწორი ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებაზე ზემოქმედების მიზნით. პრაქტიკაში ხშირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც მედიას იარაღად გამოუყენებია ეს შესაძლებლობა, რასაც მძიმე შედეგებად მიუყვანია საზოგადოება. ეს პრობლემა, განსაკუთრებით აქტუალურია ნაფიცი მსაჯულების შემთხვევაში, რადგან რადგან მედიის საშუალებით გავრცელებულმა ინფორმაციამ, დიდი შანსია, წინასწარი განწყობა შეუქმნას მსაჯულობის კანდიდატს და გაართულოს როგორც სამართალწარმოების პროცესი, ისე დაარღვიოს სამართლიანი სასამართლოს უფლება. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ქვენებს, რომელშიც არანაირი შესაძლებლობა არ არსებობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის დასაბუთების.

სასამართლოები დაჟინებით არ მოითხოვენ პოტენციური მსაჯულებისაგან, რომ ისინი ინფორმაციულ ვაკუუმში იყვნენ და არაფერი სმენოდეთ განსახილველ საქმესთან დაკავშირებით. დღევანდელ ეპოქაში ამის მოთხოვნა შეუძლებელია. მოთხოვნა მხოლოდ ისაა, რომ მსაჯულობის კანდიდატები არ იყვნენ გავრცელებული ინფორმაციების ზეგავლენის ქვეშ იმდენად, რომ ვერ შეძლონ წინასწარ

ჩამოყალიბებული აზრებისაგან გათავისუფლება და ვერდიქტის გამოტანა მხოლოდ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე.<sup>53</sup>

პრობლემა ძალიან მწვავედ დგას, რადგან ერთ მხარესაა მართლმსაჯულების ინტერესები, სამართლიანი სასამართლოს უფლება, ბრალდებულის უფლება, მისი საქმე განიხილოს მიუკერძოებელმა სასამართლომ, ხოლო მეორე მხარეს - სიტყვის თავისუფლება. საკითხავია, ამ ორი უმნიშვნელოვანესი გარანტიიდან, რომელი მათგანია პრიორიტეტული.

ამ საკითხს სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვაგვარად არეგულირებენ. აღსანიშნავია, რომ აშშ (რომელიც იმ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელშიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება შეუძლებელია), წინ სიტყვის თავისუფლებას აყენებს. ეს რეგულაცია დადგენილია 1976 წელს განხილულ საქმეში, ნებრასკას პრესის ასოციაცია სტიუარტის წინააღმდეგ, სადაც პირველი ინსტანციის სასამართლომ, პრესის მავნე ზეგავლენისაგან დაცვის მიზნით, აკრძალა ბრალდებულის მიერ სხდომამდე გაკეთებული ნებისმიერი განცხადების გამოქვეყნება, ასევე საქმის წინასწარი მოსმენისას წარდგენილი მტკიცებულებების გაშუქება. აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ეს გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ „საქმის წინასწარი, თუნდაც ნეგატიური გაშუქება, აუცილებლად არ იწვევს პროცესის უსამართლობას“, ასეთი რადიკალური ზომები კი მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნას გამოყენებული, როდესაც ყველა სხვა შესაძლებლობა ამოწურული იქნება.<sup>54</sup>

აშშ-ში მედია ფაქტობრივად არ იზღუდება, რაც არასწორად მიმაჩნია, რადგან თუკი ნაფიცი მსაჯული მოისმენს ან ნახავს დაუშვებელ მტკიცებულებას მედიის მეშვეობით, ძალიან ძნელი იქნება მოსამართლის ინსტრუქციების საფუძველზე დაივიწყოს ის. არალოგიკურიცაა მოსთხოვო პირს იმის დავიწყება, რამაც მისი აზრის ფორმირებაზე გავლენა მოახდინა. საბოლოო ჯამში კი ვერდიქტი გამოდის უკანონო. ჩემი აზრით, სწორედ იმის გამო, რომ ნაფიც მსაჯულებს არ ევალებათ ვერდიქტის დასაბუთება, ამასთანავე არ არიან დაცული გარეშე ზეგავლენისაგან, ეძლევათ „მწვანე შუქი“

<sup>53</sup> Israel J.H., LaFave W.R. , Criminal procedure, Constitutional Limitations, St. Paul, Minn. 2001, pg. 437

<sup>54</sup> ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბ., 2012წ., გვ. 101-102.

თვითნებობისათვის, ამიტომაცაა ასეთი ხშირი ნულიფიკაციის პრობლემა აშშ-ში, რაც ზემოთ უკვე განვიხილეთ და აქ აღარ შევხვებით.

რადიკალურად განსხვავებული შეხედულება არსებობს ინგლისში, სადაც ამ საკითხს განსაკუთრებით მკაცრად არეგულირებენ. ამ ქვეყანაში სიტყვის თავისუფლება სამართლიანი სასამართლოს უფლებას უთმობს გზას. ინგლისში 1981 წლიდან მოქმედებს „სასამართლოსადმი უპატივცემულობის აქტი (Contempt of Court Act, 1926), რომლის შესაბამისადაც, სასამართლოს მიერ აკრძალული, ისევე როგორც არასწორი, ინფორმაციის გავრცელება სასამართლოსადმი უპატივცემულობად ითვლება და დანაშაულს წარმოადგენს. 2011 წლის ივლისში Daily mail-ის და The Sun-ის რედაქციებს, თითოეულის 15 000 ფუნტი დაეკისრათ (დამატებით, თითქმის ამდენივე სასამართლო ხარჯების ანაზღაურება), სასამართლოსადმი უპატივცემულობის აქტის „შემთხვევითი“ დარღვევისათვის. მათ განათავსეს ბრალდებულ რაიან უარდის ფოტო, სადაც მას იარაღი ეჭირა ხელში, იმ ფაქტის პარალელურად, რომ რაიანი მკვლელობისათვის სამართლდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ფოტო ძალიან ცოტა ხნით იდო საიტზე, არსებობდა იმის ვარაუდის საფუძველი, რომ ის შეეძლოთ ენახათ ბრალდებულის საქმის განმხილველ მსაჯულებს.<sup>55</sup>

გასული წლის ბოლოს შეთავაზებული ცვლილებების პაკეტის შესაბამისად, ინგლისში „საინფორმაციო სააგენტოებს დაევალებათ აიღონ პოტენციურად ზეგავლენის მომხდენი ინფორმაცია თავიანთი ვებ-გვერდებიდან, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ინფორმაცია კანონის დაცვით განთავსებული. ნაფიცი მსაჯულები, რომლებიც ეცდებიან გაარკვიონ საქმის შესახებ იმაზე მეტი, ვიდრე სხდომის დარბაზში მოისმენენ, შესაძლოა სისხლის სამართლის წესით დაისაჯონ.“<sup>56</sup>

აშშ-სა და ინგლისის შემდეგ, მნიშვნელოვანია განვიხილოთ ევროპული სასამართლოს მოსაზრება აღნიშნულ პრობლემაზე. სასამართლო აცხადებს, რომ ვინაიდან მე-6 მუხლით გარანტირებულია სხდომების საჯარო განხილვა, მნიშვნელოვანიცაა მედიის დასწრება და ინფორმაციის გავრცელება. თუმცა ევროკონვენციის მე-10 მუხლის მოქმედებაც არაა აბსოლუტური და აუცილებელია შეიზღუდოს სასამართლოს

<sup>55</sup> Rozenberg J., “Newspapers pay high price for “accidental” contempt of court”, The Guardian, 20.07.2011.

<sup>56</sup> Rozenberg J., “Does the internet mean game over for contempt of court?”, The Guardian, 28.11.2012.

მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. ანუ ევროპული კონვენცია უპირატესობას ანიჭებს სამართლიანი სასამართლოს უფლებას.<sup>57</sup>

მედიის გავლენაზე საკმაოდ ვრცლად აქვს ნამსჯელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსაც საქმეში, Papon v. France, სადაც ის აღნიშნავს, რომ სასამართლო ვაკუუმში ვერ განახორციელებს უფლებამოსილებას, სასამართლო ერთადერთი ადგილია სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის ბრალეულობის თუ უდანაშაულობის დასადგენად. შეუძლებელია, რომ პროცესის არანაირი წინასწარი ან მიმდინარე განხილვა არ მოხდეს ზოგადად პრესაში, სპეციალიზებულ ჟურნალებში თუ ფართო პუბლიკაში, მაგრამ ეს უნდა განხორციელდეს იმ პირობით, რომ არ დაზიანდება მართლმსაჯულების სათანადოდ წარმართვის ინტერესები. რეპორტირება და კომენტირება საჯაროობის პრინციპის ხელშემწყობი ფაქტორებია, რაც არ ეწინააღმდეგება ევროკონვენციის მე-6 მუხლს. არა მხოლოდ მედიას ევალება შეატყობინოს ინფორმაცია პუბლიკას, არამედ საზოგადოებასაც აქვს უფლება მიიღოს ასეთი ახალი ამბები. ეს განსაკუთრებით საჭიროა მაშინ, როდესაც საქმე საქვეყნოდ ცნობილ საჯარო პირს ეხება, ისევე როგორც იყო ბატონი პაპონის შემთხვევაში (ის წინა მთავრობის წევრი გახლდათ). ასეთი პირები შეგნებულად მიდიან იმაზე, რომ იყვნენ მედიისა და ფართო საზოგადოების მუდმივი დაკვირვების ქვეშ, შესაბამისად კრიტიკა და დაინტერესება მათ საქმეზე გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი მოქალაქის პროცესზე, თუმცა საჯარო პირებსაც აქვთ სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება, ამიტომ ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მედიამ საქმის გაშუქებისას. კომენტირების ფარგლები არ შეიძლება გავრცელდეს იქამდე, რომ ნებით თუ უნებლიეთ გამოიწვიოს წინასწარი უარყოფითი დამოკიდებულების შექმნა.<sup>58</sup>

### 3.2 ნაფიც მსაჯულებზე მედიის გავლენის კონკრეტული შემთხვევები

<sup>57</sup> ხუციშვილი ე., ვერძული ს., ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, თბ., 2012წ., რედ.: ყვირალაშვილი ხ., გვ. 64.

<sup>58</sup> Papon v. France (no. 2) (dec.), no. 54210/00, 2001 წლის 15 ნოემბერი.

აშშ-ში ჩატარებული პროცესი საქმეზე *Irvin v. Dowd* (366 U.S. 717 (1961)) გამორჩეულია იმით, რომ ბრალდებული გასამართლდა სასამართლოს დაწყებამდე ჩამოყალიბებული რწმენის შედეგად, რაც გამოიწვია მედიის მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ. კერძოდ, ვანდერბურგის ოლქში, ინდიანაში, 6 მკვლელობა იქნა ჩადენილი. ბრალდებულის დაკავებიდან მცირე ხნის შემდეგ, ოლქის პროკურორმა და ადგილობრივმა პოლიციელებმა გამოაქვეყნეს პრეს-რელიზი, რომელიც ინტენსიურად გავრცელდა. გაზეთების სათაურებში იკითხებოდა, რომ ბრალდებულმა 6 მკვლელობა და ქურდობის 24 შემთხვევა აღიარა. მედიის მეტისმეტი აქტიურობის გამო ბრალდებულმა სხდომის ტერიტორიის შეცვლა მოითხოვა, რაზეც მოსამართლე დაეთანხმა, თუმცა სხდომა გადაიტანეს მეზობელ ოლქში. ბრალდებულის მოთხოვნა სხდომის უფრო შორს გადატანის შესახებ არ დაკმაყოფილდა. შერჩევის სხდომაზე გამოკითხული მსაჯულების 90 პროცენტს უკვე ჰქონდა წინასწარ ჩამოყალიბებული აზრი ბრალდებულის დამნაშავეობასთან დაკავშირებით, ზოგს მხოლოდ ეჭვი, ზოგიც დარწმუნებული იყო. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლება ბრალდებულს იმის გარანტიას აძლევს, რომ მის ბედს სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლო გადაწყვეტს. მსაჯული, რომელსაც აქვს წინასწარ ჩამოყალიბებული პოზიცია, ვერ იქნება მიუკერძოებელი. ცხადია, არ მოითხოვება რომ მსაჯულები სრულიად არაინფორმირებულები იყვნენ. მოთხოვნა მხოლოდ ისაა, რომ მსაჯულს არ ჰქონდეს წინასწარ ჩამოყალიბებული პოზიცია საქმის ბედის შესახებ.<sup>59</sup>

დიდ ბრიტანეთში განხილულ საქმეში *R. v. McCann* (92crim.app.239) სააკპელაციო სასამართლო იძულებული გახდა ტერორისტების წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენი გაეუქმებინა, იმის გამო, რომ საქმის განხილველმა მოსამართლემ ნაფიც მსაჯულთა კორპუსი დაითხოვა საქმის დასრულების სტადიაზე წარმოშობილი საჯარო ტალღის გამო, რადგან მიიჩნია, რომ „სატელევიზიო ინტერვიუების ზეგავლენა სასამართლო პროცესის სამართლიანობაზე, ვერ გამოსწორდება მსაჯულთათვის მიცემული რაიმე მითითებით“. ამ საქმეში აღსანიშნავი ისაა, რომ ბრალდებულები დუმილის უფლებას ინარჩუნებდნენ, მსაჯულების სათათბირო ოთახში გასვლამდე კი ორმა მოხელემ,

<sup>59</sup> Kamisar Y., LaFave W.R., Israel J.H., King N.J., *Advanced Criminal Procedure*, eleventh edition, 2005, chapter 24, pg. 1417.

ჩრდილოეთ ირლანდიის სახელმწიფო მდივანმა და ლორდმა დენინგმა გააკეთეს განცხადება, რომელიც მყისიერად გავრცელდა. კერძოდ, მათ თქვეს, რომ პირებს, რომელთაც პასუხი არ გასცეს პოლიციის შეკითხვებს, სავარაუდოდ ბრალი მიუძღვოდათ ჩადენილ ქმედებებში.<sup>60</sup>

კანადაში, საქმეზე Phillips v. Nova Scotia (2 S.C.R. 97 (Can) 1995) ადგილი ჰქონდა განხილვის პარალელურად საზოგადოებრივი გამოძიების წარმართვას, ინფორმაციის გავრცელებას და გავლენის მოხდენას. უზენაესმა სასამართლომ განიხილა ეს სპეციფიკური საკითხი და დაადგინა:

დღესდღეობით, 12 ნაფიცი მსაჯულის შეკრება, რომლებმაც ფაქტის შესახებ არაფერი იციან, აშკარად არარეალისტურ მიზანს წარმოადგენს. მიუკერძოებლობა ვერ გაუტოლდება საქმის ყველა ფაქტის უცოდინარობას. იმისათვის, რათა სამართლიანი პროცესი გაიმართოს, მოძებნილ უნდა იქნეს ისინი, ვინც თუმცა კი საქმეს იცნობენ, მაგრამ შეუძლიათ უარყონ ყოველგვარი წინასწარ შექმნილი აზრი და თავისი მოვალეობები განახორციელონ უდანაშაულობის პრეზუმფციის ფონზე, სასამართლოზე წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე.<sup>61</sup>

და ბოლოს, აშშ-ში მომხდარ, ყველაზე ცნობილ საქმეში Sheppard v. Maxwell (384 U.S. 333, 86S.ct.1507,16c. Ed.2D.600 (1966)), სადაც ბრალდებულს ედავებოდნენ თავისი ფეხმძიმე ცოლის მკვლელობას, მედიის გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ შერჩევის სხდომაზევე ყველა მსაჯულმა აღიარა, რომ არა მხოლოდ სმენოდათ განსახილველი საქმის შესახებ, არამედ არაერთი ისტორიაც წაუკითხავთ.<sup>62</sup> არსებითი განხილვის დაწყებიდან, ეს პროცესი „მხატვრულ ფილმად“ გადაიქცა, მედიის მიერ საქმის გაშუქების დონემ, პარალელურად კი სასამართლოს უუნარობამ, კონტროლი გაეწია

---

<sup>60</sup> ვიდმარი ნ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები) სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა, თბ., 2005წ., გვ. 46.

<sup>61</sup> ვიდმარი ნ., დასახ. ნაშრ., გვ. 118.

<sup>62</sup> Leading Constitutional cases on Criminal justice, edited by Weinreb L.L., Thompson west, NY, 2005, pg.978.

მავნე ინფორმაციის გავრცელებაზე, შექმნა „საცირკო წარმოდგენის მსგავსი ატმოსფერო“, სადაც ძნელი იყო სამართლიანი სასამართლოს უფლების დანახვაც კი.<sup>63</sup>

განხილულ მაგალითებში, ძირითადად ფიგურირებს ის ქვეყნები, რომლებშიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილება ავტომატურად ემყარება ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტს, ყოველგვარი დამატებითი არგუმენტაციის ან დასაბუთების ანალოგიური ზომების მიღების გარეშე. ნაფიცი მსაჯულის შინაგანი რწმენა შეუზღუდავია, ასეთ ქვეყნებში არ არსებობს მექანიზმი, რომელიც მას ჩარჩოში მოაქცევს. ამ ფონზე კი მედიის გავლენა გაცილებით უარყოფითი შედეგის მომტანია მართმსაჯულების ინტერესებისათვის, ვიდრე დასაბუთებული გადაწყვეტილების შემთხვევაში. მედიაში გაჟღერებულმა ხშირად არაკურატულმა და არაზუსტმა ინფორმაციამ, შესაძლოა იმდენად ღრმა ფესვები გაიდგას მსაჯულის ცნობიერებაში, რომ შეუძლებელი გახდეს მისი პოზიციის შეცვლა თუნდაც უტყუარი მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში. ამ გზით მიღებული ვერდიქტები კი ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პროცესის ძირითად პრინციპებს.

### 3. 3. მედიის გავლენისაგან დაცვის მექანიზმები

მედიის ნეგატიურ გავლენაზე ზემოთ არსებულ თავებში უკვე ვისაუბრეთ, თუმცა ასევე არსებითად მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ იმ შესაძლებლობებზე, ბერკეტებზე, რომლებიც გარკვეულწილად შესაძლებელია მხედველობაში იქნას მიღებული მედიის ნეგატიური გავლენისაგან დასაცად.

ჩამოვთვლით მექანიზმებს, რომელთა ინდივიდუალურად თუ ერთობლიობაში მოქმედებაც ეფექტური საშუალება იქნება პრობლემის მოსაგვარებლად:

1. ისევე როგორც ნულიფიკაციის შემთხვევაში, უპირველესი საშუალება პრევენციაა, მსაჯული, რომელსაც სმენია საქმის შესახებ და ჩამოყალიბებული აქვს წინასწარი აზრი, აცილებულ უნდა იქნას. ცხადია, მხოლოდ Voir Dire, ცალკე აღებული, ვერ იქნება

---

<sup>63</sup> Matthew Mastromauro, Pre-trial Prejudice: How Youtube generated news coverage is set to complicate the concepts of pre-trial prejudice doctrine and endanger Sixth Amendment Fair Trial rights, *Journal of High Technology Law*, 2010, pg. 296-297.



ეფექტური მექანიზმი მედიის გავლენის აღმოსაფხვრელად, რადგან შესაძლოა მსაჯულმა სხდომის დაწყებამდე და მის შემდეგაც გაიგოს დამატებითი ინფორმაცია პრესის ან ტელევიზიის მეშვეობით, ასევე შესაძლოა მხარე შეცდეს მსაჯულის არჩევაში, რადგან თავიდან ის ამტკიცებდეს, რომ მიუკერძოებლად და ობიექტურად შეუძლია საქმის გადაწყვეტა, მიუხედავად იმ ინფორმაციისა, რასაც ფლობს, მაგრამ საბოლოო ჯამში მედიის უარყოფითმა გავლენამ შესაძლოა მაინც იჩინოს თავი.<sup>64</sup> სწორედ ამიტომ არსებითად მნიშვნელოვანია ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობას საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე დაესვას შეკითხვები მედიის გავლენაზე. სწორე აღნიშნულ საკითხს ეხება ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის რეკომენდაცია ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომებთან დაკავშირებით, სადაც თვალსაჩინო მაგალითიცაა მოცემული:

- „რომელიმე თქვენგანს სხვაგვარად მედიის საშუალებით ხომ არ სმენია რაიმე ამ შემთხვევის შესახებ?

- იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე თქვენგანს წაკითხული აქვს ინფორმაცია ამ შემთხვევის შესახებ გაზეთში ან სხვა წყაროებში, შეძლებთ თუ ვერა სრულად უგულვებელყოთ წაკითხული და საქმეზე გადაწყვეტილება მიიღოთ მხოლოდ სასამართლო დარბაზში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე?“<sup>65</sup>

2. საქმის განხილვის შეჩერება, სანამ არ დაიკლებს საზოგადოებრივი ინტერესი და მედიის დაინტერესება საქმით<sup>66</sup> - ფაქტია, რომ აღნიშნული ინსტრუმენტი არ ისე ეფექტურია, ვინაიდან სხვადასხვა ქვეყნებში არსებობს პატიმრობის ვადები და შესაბამისად, ლოდინი იმისა, როდის დაცხრება საზოგადოება და შესაბამისად მედია საშუალებებიც ინდიფერენტულები გახდებიან კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის მიმართ, დააზიანებს ერთერთ უმნიშვნელოვანეს პროცესუალურ პრინციპს - საქმის სწრაფად და სამართლიანად გადაწყვეტისა.<sup>67</sup> ის, რომ შიდასახელმწიფოებრივ დონეზე ბრალდებულის უფლება მაქსიმალურად იქნას დაცული და მისი საქმე

<sup>64</sup> Kamisar Y., LaFave W.R., Israel J.H., King N.J., Advanced Criminal Procedure, eleventh edition, 2005, pg. 1421.

<sup>65</sup> ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესი, აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის სამართლებრივი მრჩევლის პროგრამის მიერ, აშშ-ს საელჩო -თბილისი, საქართველო

<sup>66</sup> იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), თბ., 2012წ., რედ.: წიქარიშვილი კ., გვ. 30.

<sup>67</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წლის 9 ოქტომბერი.

სამართლიან და გონივრულ ფარგლებში განხილული, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განსაზღვრულია კონკრეტული ვადები. მათ შორის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილში მითითებულია, რომ „სასამართლო ვალდებულია პრიორიტეტულად განიხილოს ის სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა.“ მეორეს მხრივ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს პატიმრობის გამოყენების 9 თვიან ვადას, რაც თავის არსით ნიშნავს იმას, რომ პირის დაკავებიდან 9 თვის ვადაში უნდა მოხდეს საბოლოო გადატყვეტილების მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს აღკვეთის მდგომარეობის აღნიშნული სახისაგან.<sup>68</sup>

3. საქმის განხილვის სხვა ადგილას გადატანა - ადგილმდებარეობის შეცვლა ეფექტური მექანიზმი იქნება იმ ქვეყნებში, რომლებიც დიდ ტერიტორიებს ფლობენ, სხვა შემთხვევაში იმ ეფექტს ვერ მივიღეთ, რისთვისაც ამ ღონისძიებას ვატარებთ. ამის მაგალითია ჩვენ მიერ ზემოთ განხილული საქმე *Irvin v. Dowd* (366 U.S. 717 (1961)), რომელშიც სხდომის არასაკმარისად შორს გადატანამ ვერ გამოიღო სასურველი შედეგი.

4. სასამართლოს მიერ მედიისათვის შეზღუდვების დაწესება - ზემოთ ნახსენები Contempt of The Court Act სწორედ ამ მიზანს ემსახურება ინგლისში. სასამართლოს უპატივცემულობის შესახებ აქტი მოიცავს და პასუხისმგებლობას ადგენს ყველაფრისთვის, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს სამართალწარმოების პროცესზე. ამ დარღვევებში შედის მედიის მიერ მსაჯულებზე გავლენის მომხდენი ინფორმაციის გავრცელებაც. იმისათვის, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მაქსიმალურად მიუკერძოებელი იყოს, აუცილებელია ყველა ქვეყანაში, სადაც ეს ინსტიტუტი მოქმედებს, მედიისათვის შეზღუდვების დაწესება. ეს შეიძლება იყოს გარკვეული ინფორმაციის გავრცელების აკრძალვა როგორც მინიმუმ იქამდე, სანამ მსაჯულები არ შეირჩევიან. ასევე უნდა აიკრძალოს დაუშვებელი მტკიცებულებების გამჟღავნება სხდომის დასრულებამდე.

---

<sup>68</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წლის 9 ოქტომბერი.

5. მოსამართლის მითითებები მსაჯულებს - სამართლიანი და კანონიერი ვერდიქტის მისაღებად ძალიან მნიშვნელოვანია მოსამართლის მითითებები. მოსამართლემ ნათლად და კატეგორიულად უნდა აუკრძალოს მსაჯულებს სხდომის დარბაზს გარეთ ინფორმაციის მოპოვება, ასევე შემთხვევით გაგებულ ინფორმაციის გამოყენება თათბირისას, თუკი ის გამოკვლეული ან ნახსენები არ იქნება სასამართლო განხილვისას. ასევე მკაცრად მიუთითოს სხდომაზე გაუქმებული ან დემონსტრირებული და შემდგომ დაუშვებლად ცნობილი მტკიცებულების გათვალისწინების აკრძალვის შესახებ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით სასამართლო აძლევს განმარტებებს ნაფიც მსაჯულებს როგორც პროცესის დასაწყისში, მანამ სანამ მხარეებს ექნებათ 239-ე მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობები, ასევე შესავალი სიტყვები, ასევე პროცესის დასრულების შემდეგ ვიდრე სათათბირო ოთახში გასვლამდე და უთითებს მათ: „რომ ვერდიქტი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ სასამართლო პროცესის დროს გამოკვლეულ მტკიცებულებებს, რომ არც ერთი მტკიცებულება არ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში სხვისი მითითებით, რომ ვერდიქტი არ უნდა იქნეს გამოტანილი ვარაუდის საფუძველზე ან დაუშვებელ მტკიცებულებათა გამოყენებით“.<sup>69</sup>

6. მართალია კანონით დადგენილია აკრძალვები და მოსამართლეს განუმარტავს ზემოაღნიშნულს მსაჯულებს, მაგრამ წესის არსებობას მნიშვნელობა არ აქვს, თუკი მის დარღვევას რეაგირება არ მოჰყვება. სწორედ ამიტომ, არსებითი მნიშვნელობის საკითხად მიმაჩნია მსაჯულისთვის სანქციის შეფარდება, თუკი ის მაინც შეეცდება და მოიპოვებს ინფორმაციას სასამართლო დარბაზს გარეთ. 2012 წლის იანვარში, ინგლისში, ყოფილ ლექტორს, რომელიც ნაფიც მსაჯულად იღებდა მონაწილეობას სისხლის სამართლის საქმეზე, 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა ბრალდებულის შესახებ ინტერნეტით ინფორმაციის მოძიებისა და სხვა მსაჯულთათვის განდობისათვის.<sup>70</sup>

7. მხარეებისათვის კომენტარების გაკეთების აკრძალვა - ე.წ. gag orders, რაც ნიშნავს მოსამართლის მხრიდან ადვოკატებისა და პროკურორებისათვის, ასევე მოწმეებისა და

<sup>69</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წლის 9 ოქტომბერი.

<sup>70</sup> Bowcott O., “Juror jailed over online research”, The Guardian, გვერდი მოძიებულია 2020 წლის 3 დეკემბერს.

სასამართლოს წარმომადგენლებისათვის შეზღუდვების დაწესებას საქმეზე ცალმხრივი და მიკერძოებული განცხადებების საჯაროდ გაკეთებასთან დაკავშირებით. ეს გარანტია ექნება იმისა, რომ მსაჯულები მხარეთა პოზიციას მხოლოდ სასამართლო დარბაზში მოისმენენ, სადაც მეორე მხარეს ექნება ცრუ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციაზე პროტესტის გამოხატვის უფლება.

8. ნაფიც მსაჯულთა სექვესტრირება - ნიშნავს მსაჯულთა იზოლირებას საზოგადოებისაგან საქმის განხილვის ვადით. ეს არის საუკეთესო გარანტია მსაჯულთა დასაცავად მედიის ზეგავლენისაგან, თუმცა მეტისმეტი რადიკალურობით გამოირჩევა და დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ნაფიც მსაჯულებს პატიმრებივით ვერ ამყოფებთ თვეების განმავლობაში. თუ სექვესტრირება აუცილებელია (მაგალითად, გახმაურებულ და რეზონანსულ საქმეებზე), მსაჯულებს ალტერნატივის სახით სასურველია შესთავაზონ ყოველი სხდომის ბოლოს სახლში დაბრუნება სპეციალური წარმომადგენლის თანხლებით, რომელიც დარწმუნდება, რომ მსაჯულს არ ექნება შეხება მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციასთან.<sup>71</sup>

---

<sup>71</sup> Kamisar Y., LaFave W.R., Israel J.H., King N.J., Advanced Criminal Procedure, eleventh edition, 2005, pg. 1429.

## თავი 4. რეგულაციები და სტანდარტები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისად

### 4.1. დასაბუთების სტანდარტი განაჩენებზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რეგულაციების შესაბამისად

მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ რა მოცულობით აკისრებს ევროპული სასამართლო მოსამართლეს გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას და რა სტანდარტები არსებობს ამ კუთხით.

ევროპული სასამართლო პრეცედენტულ სამართალში არ ადგენს უნივერსალურ წესებს და აცხადებს, რომ მართალია ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი ეროვნულ სასამართლოებს ავალებს გადაწყვეტილების დასაბუთებას, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მათ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხი მოეთხოვებათ. ამ ვალდებულების ხარისხი განსხვავებულია გადაწყვეტილების სახეობებიდან გამომდინარე, ასევე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მხარეთა არგუმენტების მრავალფეროვნება და სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის განსხვავებულობა. სწორედ ამიტომ, დასაბუთების ვალდებულების ხარისხი მხოლოდ საქმის გარემოებების გათვალისწინებით შეიძლება გადაწყდეს.<sup>72</sup>

ვან დე ჰურკისა<sup>73</sup> და სალოვის<sup>74</sup> საქმეებში ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლო არაა ვალდებული პასუხი გასცეს ყველა არგუმენტს, თუმცა დასაბუთების ნაკლებობა მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ ჩაითვლება მე-6 მუხლის დარღვევად. სასამართლო ასევე ადგენს, რომ ზემდგომი ინსტანციების სასამართლოები საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შესახებ გადაწყვეტილებებში პირდაპირ შეიძლება დაეყრდნონ იმ საფუძვლებს, რომლებზეც ქვედა ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, დამატებითი არგუმენტაციის გარეშე,<sup>75</sup> თუმცა საქმეში *Boldea v. Romania*<sup>76</sup> სასამართლომ გააკრიტიკა

<sup>72</sup> *Hiro Balani v. Spain*, §27; *Ruiz Torija v. Spain*, §29; *Higgins and others v. Spain* §42; *Garcia Ruiz v. Spain*, §26. იხ. ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009წ., სქოლიო 484, გვ. 130

<sup>73</sup> *Van de Hurk v. Netherlands*, განაცხადი # 16034/90, 1994 წლის 14 აპრილის განჩინება, §61.

<sup>74</sup> *Salov v. Ukraine*, განაცხადი #65518/01, 2005 წლის 6 სექტემბრის განჩინება, §89.

<sup>75</sup> *Garcia Ruiz v. Spain*, განაცხადი #30544/96, 1999 წლის 21 იანვრის განჩინება, §26.

ტიმიშის საოლქო სასამართლო, რომელმაც მხოლოდ გაიმეორა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დასკვნით ნაწილში მითითებული არგუმენტაცია. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მართალია დაშვებულია სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობაზე დაყრდნობა, მაგრამ იმისათვის, რომ არ დაირღვეს მე-6 მუხლი, ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ადექვატურად უნდა იყოს არგუმენტირებული. ამ საქმეში სწორედ ამ მიზეზით დაირღვა მე-6 მუხლი.

ევროპული სასამართლო არ ჩამოთვლის იმ საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვნად ითვლება, ან რომელთა დასაბუთებაც აუცილებელია და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქმის შედეგისათვის. ვფიქრობ, ასეთად უნდა მივიჩიოთ ნებისმიერი გარემოება, რომლის სხვაგვარად გადაწყვეტის შემთხვევაშიც საქმის შედეგი არსებითად შეიცვლებოდა, მაგალითად პირის ბრალეულობის, მტკიცებულებათა დასაშვებობის, დაცვის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები. რაც უფრო მძიმეა დანაშაული, დასაბუთების მეტი ხარისხი უნდა მოითხოვებოდეს, ასევე მეტად უნდა საჭიროებდეს დასაბუთებას რთული და მრავალტომიანი, მოცულობითი საქმეები, სადაც მტკიცებულებათა რაოდენობაც მნიშვნელოვნად დიდია.

„სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, ძირითადად მოიცავს სამართალწარმოების შემდეგ სფეროებს: 1. მტკიცებულებათა შეფასება; 2. ფაქტების დადგენა; 3. სამართლებრივი არგუმენტაცია; 4. პროცედურული საკითხები“.<sup>77</sup> სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლო მიუთითებს კანონის ნორმებს, ხოლო ფაქტობრივ მოცემულობასთან დაკავშირებით, ჯეროვანი დასაბუთება საქმის დეტალებზეა დამოკიდებული.

---

<sup>76</sup> Boldea v. Romania, განაცხადი # 19997/02, 2007 წლის 15 თებერვლის განჩინება, §33.

<sup>77</sup> ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009წ., გვ. 107.

## 4.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა განაჩენის დაუსაბუთებლობის პრობლემასთან დაკავშირებით

მას შემდეგ, რაც განვსაზღვრეთ ზოგადი სტანდარტები განაჩენის დასაბუთების კუთხით, ლოგიკურია, განვიხილოთ კონკრეტული საქმეები, რათა უშუალოდ ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე დავინახოთ როგორ მოქმედებს ეს წესები.

ერთ-ერთი ყველაზე პირველი გადაწყვეტილება, სადაც ევროპულმა სასამართლომ განაჩენის დასაბუთების მნიშვნელობაზე ისაუბრა, იყო Ruiz Torija v. Spain<sup>78</sup>. საქმე ეხებოდა განმცხადებლის გამოსახლების პროცედურას მოიჯარის მოთხოვნით. პირველ ინსტანციაში აპლიკანტმა წარადგინა არგუმენტი მოიჯარის მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, დაურთო შესაბამისი მტკიცებულებაც და მოიგო საქმე. გადაწყვეტილება მოიჯარემ გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა განმცხადებლის ზემოაღნიშნული არგუმენტი და უსაფუძვლობის გამო საჭიროდ არ ჩათვალა მასზე პასუხის გაცემა თავის გადაწყვეტილებაში. ევროპულმა სასამართლომ მკაფიოდ აღნიშნა, კონკრეტულ საქმეში, სასამართლო ვერ დაარწმუნა მთავრობის პოზიციამ, რომ ვადის გასვლასთან დაკავშირებით მოთხოვნა იმდენად უსაფუძვლო იყო, რომ სააპელაციო სასამართლოსთვის არ იყო სავალდებულო მისი განხილვა, რადგან ის ფაქტი, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ამ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეზე დაუშვა საწინააღმდეგოს მეტყველებს. თუ ვადის გასვლასთან დაკავშირებული არგუმენტი განხილვის ღირს საკითხად ჩათვალა პირველმა ინსტანციამ, ამაზე უნდა ემსჯელა სააპელაციო სასამართლოსაც. ეს საკითხი სრულიად სხვა სამართლებრივი კატეგორიის საკითხია, ვიდრე იჯარის შეწყვეტის საფუძველი, რასაც ეხებოდა მოიჯარის სარჩელი, ამიტომ სპეციფიკურ პასუხსაც მოითხოვდა. იმის გამო რომ ასეთი პასუხი არ არსებობს, შეუძლებელია დადგინდეს სასამართლომ თვითნებურად უარყო აპლიკანტის ეს არგუმენტი თუ უბრალოდ არ გაითვალისწინა და არ დაეთანხმა მას და თუ ასეა, რა იყო უარის საფუძველი. ამ მიზეზთა გამო, მოცემულ საქმეში დადგინდა მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევა.

<sup>78</sup> Ruiz Torija v. Spain, განაცხადი #18390/91, 1994 წლის 9 დეკემბრის განჩინება.

საინტერესოა ორიოდ სიტყვით შევხვით საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ განჩინებებსაც, სადაც ასევე დადგინდა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა გადაწყვეტილების არასათანადო დასაბუთების გამო.

საქმეში, დონამე საქართველოს წინააღმდეგ,<sup>79</sup> რომელშიც განმცხადებელმა საქართველოს სასამართლოს სამივე ინსტანცია გაიარა მისთვის სამუშაო ოთახისა და არაადექვატური სამუშაო პირობების შეცვლის მოთხოვნით, არც ერთმა ინსტანციის სასამართლომ არ განახორციელა აპლიკანტის არგუმენტების ღრმა და სერიოზული შესწავლა. ისინი მეტისმეტად ზერელედ მოეკიდნენ მომჩივანის მოთხოვნებს, სწორედ ამიტომ ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა: არ იკვეთებოდა ის ფაქტი, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა თავიანთი მსჯელობა დააფუძნეს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე. იმ შემთხვევაში თუკი სასამართლოებს არა აქვთ შესაძლებლობა დაასაბუთონ მხარის თითოეულ არგუმენტზე უარის თქმის მოტივაცია, ისინი არ თავისუფლდებიან ვალდებულებისაგან ჯეროვნად განიხილონ და პასუხი გასცენ მათ მიერ წამოყენებულ ძირითად მოთხოვნებს. აღნიშნული ხარვეზების არსებობამ გამოიწვია მე-6 მუხლის დარღვევა.

საქმეში ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ,<sup>80</sup> ევროპულმა სასამართლომ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა დაადგინა იმის გამო, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა მაინცდამაინც ამ საქმეში გადაწყვიტეს გაემიჯნათ „რეაბილიტირებულად ცნობა“ და „უფლების აღდგენა“, რომლებიც იქამდე არსებულ პრაქტიკაშიც და რეალურადაც იდენტურ ცნებებს წარმოადგენდა. როდესაც განმცხადებელმა სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილების საფუძველზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ანუ მისი რეაბილიტაცია მოითხოვა, საკასაციო სასამართლომ რაიმე ახსნა-განმარტების გარეშე ზიანის ანაზღაურების წინაპირობად რეაბილიტირებულად ცნობის აუცილებლობა დაასახელა. ამასთან, მან არც ის დააზუსტა, თუ რა მტკიცებულებები უნდა წარედგინა განმცხადებელს მისი რეაბილიტაციის ფაქტის დასადასტურებლად იმ პირობებში, როდესაც აპლიკანტის მიერ დასახული მიზნის მისაღწევად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

<sup>79</sup> განაცხადი #74644/01, 2006 წლის 7 მარტი.

<sup>80</sup> განაცხადი #7932/03, 2009 წლის 24 თებერვლის განჩინება.



სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გარდა სხვა რაიმე განსაკუთრებული მტკიცებულების წარდგენას არ ითხოვდა. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საკასაციო სასამართლოს თავისი მითხოვნა ნათლად უნდა წარმოეჩინა და ის სამართლებრივი ნორმა უნდა მიეთითებინა, რომელიც განმცხადებელს სხვაგვარი პროცედურის წარმოების დაწყებას ავალდებულებდა. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი განსაზღვრავს, რომ სამართალწარმოების ჯეროვნად განხორციელების მიზნით, შიდა სასამართლო ინსტანციებმა საკმარისი სიზუსტით უნდა მიუთითონ ის მოტივები, რომლებსაც თავიანთ გადაწყვეტილებებში ეყრდნობიან. მოცემულ შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, რომ უზენაესმა სასამართლომ, ბუნდოვანი და არასაკმარისად დასაბუთებული დასკვნები გამოიტანა, ევროპული სასამართლოს შეფასებით, აღნიშნულმა ინსტანციამ ვერ დააკმაყოფილა დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნა.

#### 4.3. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილი დასაბუთების სტანდარტი ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტებზე

ნაფიც მსაჯულთა მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესებში ერთერთ ყველაზე დიდ ინიციატივას წარმოადგენს ქართულ მართლმსაჯულებაში. გადაწყვეტილება, რომელიც კოლექტიური განხილვის შედეგად მიიღება და უდიდეს პასუხისმგებლობას აწესებს საზოგადოების წევრებზე. „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განხილვა მნიშვნელოვან შეზღუდვებს უწესებს მოტივირებული გადაწყვეტილების უფლებას”,<sup>81</sup> ამიტომ საინტერესოა, ცალკე განვიხილოთ დასაბუთების სტანდარტი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემთხვევაში, ვინაიდან ის სპეციფიკურობით გამოირჩევა.

ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ მიუთითა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობამ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამართლიანი სასამართლოს უფლება მით უფრო მაშინ, როცა ნაფიცი მსაჯულები არ ასაბუთებენ თავიანთ ვერდიქტს და დაშვებულია გასაჩივრება ფაქტობრივ საფუძვლებზე

<sup>81</sup> ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009წ., გვ. 131.

დაყრდნობით. ეროვნული სასამართლოები, ცხადია, მსაჯულებს ვერ დაავალდებულებენ დაასაბუთონ თავიანთი დასკვნები,<sup>82</sup> ამიტომ მოთხოვნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ, მიუთითონ მიზეზები, სპეციალური სახის პროცედურით უნდა მოხდეს, იმ პირობებში, რომ მათ არ აიძულებენ თავიანთი მოსაზრებებისა და შინაგანი რწმენის მოტივირებას.<sup>83</sup> სწორედ ამიტომ, ეროვნულ სასამართლოებს ეკისრებათ სპეციალური ფუნქცია, სპეციფიკური წესით უზრუნველყონ არგუმენტირებული გადაწყვეტილების უფლება. ეს შეიძლება მოხდეს შეკითხვების დასმით, მითითებებისა და განმარტებების მიცემით. აუცილებლად უნდა არსებობდეს საკმარისი მექანიზმი თვითნებობისგან დასაცავად, რათა ბრალდებულმა და საზოგადოებამ გაიგონ, რატომ მოხდა პირის მსჯავრდება ან გამართლება.<sup>84</sup>

აუცილებელია ისიც, რომ სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, ყველა გზა ღია იყოს გასასაჩივრებლად.

#### 4.4. მიმოხილვითი ანალიზი ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დაუსაბუთებლობის პრობლემატიკასთან დაკავშირებით

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არაერთხელ უმსჯელია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის საკითხზე. იმისათვის რომ უფრო ნათლად გამოვკვეთოთ, რას მიიჩნევს სასამართლო მე-6 მუხლის დარღვევად და დამატებით რა წესებს ადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების დასაცავად, გამოვყოფთ რამდენიმე საქმეს.

საქმეზე R vs Belgium,<sup>85</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომისიამ ბელგიის კანონმდებლობის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ პროცესის დასასრულს

<sup>82</sup> გაბისონია ი., ნაფიც მსაჯულთა შერჩევის, შემადგენლობის ფორმირებისა და მისი ფუნქციონირების ძირითადი საკითხები, კომპაქტური შედარებითი ანალიზი, ჟურნ, “მართლმსაჯულება და კანონი” #1, 2006. 54.

<sup>83</sup> R vs Belgium, განაცხადი # 15957/90, 1992 წლის 30 მარტი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომისიის გადაწყვეტილება.

<sup>84</sup> Taxquet v. Belgium, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2010 წლის 16 ნოემბრის განჩინება.

<sup>85</sup> R vs Belgium, განაცხადი # 15957/90, 1992 წლის 30 მარტი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომისიის გადაწყვეტილება.

ასიზების სასამართლოს თავმჯდომარე ვალდებულია შეადგინოს და წარუდგინოს მსაჯულებს კითხვარები, რომლებიც საქმის ფაქტობრივ გარემოებებს ეხება. სხდომის თავმჯდომარის მოვალეობაა მათი ყურადღება მიაპყროს მტკიცებულებათა შეფასებას, სპეციფიკურ ფაქტორებს, რომლებიც აუცილებლად უნდა დადგინდეს პირის ბრალეულობის დასადასტურებლად. მოსამართლეს აქვს უფლება მსაჯულებს დაუსვას კითხვები ფაქტების შეფასებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე, რომელზეც დააფუძნეს გადაწყვეტილება, თუკი ის გამოკვლეული იყო პროცესის განმავლობაში.

ამ სისტემის გათვალისწინებით, კომისიამ დამატებით განმარტა და დაადგინა რამდენიმე წესი:

1. ბრალდების შესახებ მთავარი შეკითხვა უნდა შეეხებოდეს დანაშაულის ყველა ძირითად ელემენტს.
2. თითოეული ბრალდება ინდივიდუალური შეკითხვით უნდა იყოს წარმოდგენილი.
3. მთავარი შეკითხვების გაყოფა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ მოხდება ბრალდებულის მდგომარეობის საწინააღმდეგოდ.
4. ასევე შესაძლებელია შეკითხვების ალტერნატიული ფორმით წარდგენა.
5. მთავარი საკითხები გამიჯნული უნდა იყოს ისეთი გარემოებებისგან, როგორცაა დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები ან პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები.
6. თითოეულ ამ საკითხზე ინდივიდუალური შეკითხვები უნდა დაისვას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბელგიის კანონმდებლობით ორივე მხარეს აქვს შეკითხვების გაპროტესტების ან ახალი შეკითხვების დასმის მოთხოვნის უფლება, რაც მისასაღმებელი ფაქტია. მხარის მიერ ინიცირებული შეკითხვის დაუსმელობის შემთხვევაში სასამართლოს ევალება უარის არგუმენტირება.<sup>86</sup> მიუხედავად იმისა, რომ შეკითხვებზე ნაფიცი მსაჯულები მხოლოდ „დიახ“ ან „არა“ პასუხს სცემენ, თავად ასეთი შეკითხვები ადგენენ ვერდიქტის დასაბუთების ჩარჩოს. შეკითხვების

---

<sup>86</sup> ბურჯანაძე გ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთებულობა: ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო, სტატიათა კრებული, რედ.: კორკელია კ., თბილისი, 2011. 32.

ყოვლისმომცველობა, მათი სიზუსტე ახდენს ვერდიქტის ლაკონურობის კომპენსირებას. იმის გამო, რომ ამ საქმეში ასეთი სტანდარტი დაკმაყოფილებული იყო, კომისიამ განაცხადი არ სცნო დასაშვებად და საქმე არსებითი განხილვისათვის არ გადასცემია ევროპული სასამართლოს პალატას.

საქმეში *PaPon v. France* განმცხადებელი სხვა საკითხებთან ერთად ასაჩივრებდა იმასაც, რომ ნაფიც მსაჯულთა პასუხი მის ბრალდებასთან დაკავშირებულ 768 შეკითხვაზე და გადაწყვეტილებამდე მისვლის საფუძვლები წინააღმდეგობრივი და არაადექვატური იყო. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოკვლევის შედეგად დაადგინა, რომ საფრანგეთის კანონმდებლობაშიც არსებითად იგივე წესი მოქმედებდა, რაც ბელგიაში, ანუ, სხდომის თავმჯდომარე ვალდებული იყო შეედგინა და მსაჯულებისათვის წარედგინა შეკითხვები სხდომაზე გამოკვლეულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. კონკრეტულ საქმეში ასიზების სასამართლო თავის განაჩენში უთითებს პასუხებს იმ 768 შეკითხვაზე, რომლებიც მსაჯულებს წარედგინათ, ასევე ფაქტობრივ გარემოებებსა და სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებს. მიუხედავად იმისა, რომ ნაფიც მსაჯულებს შეკითხვებზე მხოლოდ „დიახ“ ან „არა“ პასუხები უნდა გაეცათ, თავად ეს შეკითხვები ქმნიდა გადაწყვეტილების არგუმენტირების ჩარჩოს. შეკითხვების სიზუსტე საკმარისად აბალანსებდა იმ ფაქტს, რომ ნაფიც მსაჯულთა პასუხებში არანაირი დასაბუთება არ იყო. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ საქმეში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილება საკმარისად დასაბუთებული იყო მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიზნებისათვის და არ დაადგინა დარღვევა.

ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის დასაბუთების სტანდარტზე საუბარი შეუძლებელია ევროპული სასამართლოს მიერ ბოლო დროს მიღებული გადაწყვეტილების *Taxquet v. Belgium*<sup>87</sup> განხილვის გარეშე. ამ საქმეში აპლიკანტი აცხადებდა, რომ მისი საქმე ვერ შეედრებოდა პაპონის შემთხვევას, რადგან ბატონი პაპონი ერთადერთი ბრალდებული იყო საქმეში. მან 768 შეკითხვაზე 768 პასუხი მიიღო, ეს შეკითხვები სიზუსტისა და

---

<sup>87</sup> *Taxquet v. Belgium*, განაცხადი # 926/05, ევროპული სასამართლოს პალატის 2009 წლის 13 იანვრის განჩინება.

ყოვლისმომცველობის გამო იძლეოდა შესაძლებლობას ბრალდებულს გაეგო რატომ მოხდა მისი მსჯავრდება, რასაც ადგილი არ ჰქონია თავის საქმეში.

ტაქსკეს საქმეში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილება ეყრდნობოდა მსაჯულებისათვის დასმულ 32 შეკითხვაზე პასუხს. მათგან აპლიკანტმა სადავოდ გახადა ოთხი, კერძოდ:

“შეკითხვა #25: ძირითადი ბრალდება

არის თუ არა თქვენს წინაშე წარმოდგენილი რიჩარდ ტაქსკე მთავარი დამნაშავე ან თანამონაწილე 1991 წლის მაისს ლიეჟში ჩადენილ A.C.-ს განზრახ მკვლელობაში წინასწარი შეცნობით?”

“შეკითხვა #26: დამამძიმებელი გარემოება

იყო თუ არა წინა შეკითხვაში ნახსენები განზრახ მკვლელობა წინასწარ მოფიქრებული?”

“შეკითხვა #27: ძირითადი ბრალდება

არის თუ არა თქვენს წინაშე წარმოდგენილი რიჩარდ ტაქსკე მთავარი დამნაშავე ან თანამონაწილე წინასწარი შეცნობით და განზრახ M.H.J.-ის მკვლელობის მცდელობაში 1991 წლის 18 მაისს ლიეჟში, რაც გამოიხატა ქმედებაში, რომელიც ობიექტურად დანაშაულის ჩადენისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო, მაგრამ რომლის ბოლომდე მიყვანაც მან ვერ შეძლო თავისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო?”

“შეკითხვა #28: დამამძიმებელი გარემოება

იყო თუ არა წინა შეკითხვაში მითითებული განზრახ მკვლელობის მცდელობა წინასწარ მოფიქრებული?”

ნაფიცმა მსაჯულებმა ყველა ამ შეკითხვას დადებითად უპასუხეს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს შეკითხვები დაუსვეს დანარჩენ 7 ბრალდებულთან მიმართებითაც, შეკითხვები არ იყო ინდივიდუალური თითოეულ ბრალდებულთან მიმართებაში რითაც მსაჯულებს არ მიეცათ შესაძლებლობა ემსჯელათ და განესაზღვრათ განმცხადებლის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. ასეთ ლაკონურ პასუხებს ასეთ ბუნდოვან და დაუზუსტებელ შეკითხვებზე არ შეიძლებოდა ჰქონოდა დასაბუთებულობის პრეტენზია

და შეეძლო განმცხადებლისათვის შეექმნა წარმოდგენა, რომ გადაწყვეტილება თვითნებური იყო და პროცესს აკლდა გამჭვირვალობა. იმის გამო რომ არ იყო გამოკვეთილი მთავარი არგუმენტები რომელთა საფუძველზეც მოხდა გამცხადებლის მსჯავრდება, მან ვერ შეძლო სასამართლოს გადაწყვეტილების გაგება და ის მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ეს საკითხი განსაკუთრებით დამახასიათებელია ამგვარი ტიპის სასამართლოებისათვის, რადგან მსაჯულები გადაწყვეტილებას იღებენ არა საქმის მასალებზე დაყრდნობით, არამედ მხოლოდ იმ მტკიცებულებების გათვალისწინებით, რომლებიც მათ სხდომაზე წარედგინათ. ამის გამო უფრო მნიშვნელოვანია მსჯავრდებულისთვისაც და საზოგადოებისთვისაც (რომელთა სახელითაც ხდება ვერდიქტის გამოტანა) ხაზი გაესვას იმ ფაქტორებს, რომლებმაც დაარწმუნა ნაფიცი მსაჯულები პირის ბრალეულობასა თუ უდანაშაულობაში. სწორედ ამიტომ სასამართლოს ბრალისა თუ დამამძიმებელი გარემოებების შესახებ თითოეულ ბრალდებულთან მიმართებაში ცალ-ცალკე უნდა წარედგინა შეკითხვები, თითოეული მათგანის მონაწილეობის ხარისხის თუ ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სწორედ შეკითხვების ბუნდოვანებამ არ მისცა განმცხადებელს საშუალება მიეღო დასაბუთებული გადაწყვეტილება რის გამოც დაირღვა მე-6 მუხლის მოთხოვნები.

## თავი 5. ქართული კანონმდებლობის მიმოხილვა და შედარებითი ანალიზი

## 5.1 საქართველოში არსებული სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული ცვლილებების განხილვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან მიმართებით

საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, როგორც უკვე აღინიშნა, ახლად აღმოცენებული ინსტიტუტია, რომელიც თანდათან იმკვიდრებს თავს ქართულ მართლმსაჯულებაში, განსხვავებით ამერიკის შეერთებული შტატებისგან, სადაც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, შეიძლება ითქვას, ერის ისტორიისა და კულტურის ნაწილია. რასაკვირველია, საწყის ეტაპზე არსებობდა გარკვეული ტიპის ხარვეზები, რომლებიც დღემდე ჩატარებულ 40-მდე სისხლის სამართლის საქმეში, გარკვეულწილად ჰპოვებდა ხოლმე ასახვას და რომლებიც ათწლიან პერიოდში, შეძლებისდაგვარად, შეიცვალა და დაიხვეწა.

იმისათვის, რომ უკეთ გავეცნოთ არსებულ ცვლილებებს, საჭიროა მოკლედ მიმოვიხილოთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული ცვლილებები.

2010 წლის 1 ოქტომბრიდან მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის მიხედვით: „2012 წლის 1 ოქტომბრამდე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებს მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში და განიხილავს მისი ტერიტორიული განსჯადობისთვის მიკუთვნებულ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებს. დანაშაულთა ერთობლიობისას, თუ პირს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაშიც ედება, სისხლის სამართლის საქმეს ამ კოდექსით დადგენილი წესით განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.“<sup>88</sup> შესაბამისად, პირვანდელი ვერსიით ტერიტორიული განსჯადობის მიხედვით საქმე ნაფიც მსაჯულთა ქვემდებარე საქმე მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განიხილებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსი, არამხოლოდ სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღება, არამედ საზოგადოების ჩართულობა და მათთვის

---

<sup>88</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წლის 9 ოქტომბერი. (2012 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი რედაქციის შესაბამისად).

პასუხისმგებლობის დაკისრებით სამართლებრივი აზროვნების დონის ამაღლებაა, კანონმდებელი შეეცადა ფარგლები უფრო მეტად განეწვრცო და 2016 წლის 13 ივლისის ცვლილების საფუძველზე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები ამოქმედდა თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებსა და ზუგდიდის, თელავისა და გორის რაიონულ სასამართლოებში, თუმცა ერთი დაშვებით. ნაფიც მსაჯულთა კანდიდატები აირჩევიან იმის მიხედვით, თუ სად განიხილება სისხლის სამართლის საქმე. თუ საქმე განიხილება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მაშინ კანდიდატების მოწვევა ხდება მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოდან და პირიქით.<sup>89</sup> აღნიშნულ ცვლილებაშიც, ვინაიდან საქართველო საკმაოდ პატარა ქვეყანაა, ჩემი მოსაზრებით, არსებობს რისკები იმისა, რომ ერთსა და იმავე ქალაქში მცხოვრები, ანდა მეტიც, მხარეებისათვის კარგად ნაცნობი კანდიდატები გამოცხადდნენ სასამართლო პროცესზე. ამიტომ, ასეთი ტიპის სელექცია არც თუ ისე გამართლებულია.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ცვლილება შევიდა ასევე მუხლობრივ განსჯადობაშიც. პირველად მოქმედი რედაქციის შესაბამისად, საწყის ეტაპზე 2012 წლის 1 ოქტომბრამდე არსებული მოცემულობით, საქმე განიხილებოდა მხოლოდ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობისათვის, ანუ 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის.<sup>90</sup> თუმცა, 2016 წლის 13 ივლისის მდგომარეობით, ცვლილება შევიდა კანონში და 226-ე მუხლით ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით: „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქმეს განიხილავს, თუ წარდგენილია ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე (დამთავრებული) და 109-ე (დამთავრებული) მუხლებით, 117-ე მუხლის მე-2, მე-4, მე-6 და მე-8 ნაწილებით, 126-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 135<sup>1</sup> მუხლით, 143-ე მუხლის მე-2-მე-4 ნაწილებით, 143<sup>1</sup> და 143<sup>2</sup> მუხლებით, 143<sup>3</sup> მუხლის მე-2-მე-4 ნაწილებით, 144-ე-144<sup>2</sup> მუხლებით,

<sup>89</sup> „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი, 2016 წლის 13 ივლისი.

<sup>90</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წლის 9 ოქტომბერი. (2012 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი რედაქციის შესაბამისად).



144<sup>3</sup> მუხლის მე-2 ნაწილით, 146-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 147-ე და 149-ე მუხლებით, 197-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 198-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 229-ე მუხლით.<sup>91</sup>

მიუხედავად იმისა, რომ მუხლობრივი განსჯადობა გაცილებით გაფართოვდა, კანონმდებელი შეეცადა ისეთი ტიპის მძიმე დანაშაულები შეეტანა ნაფიც მსაჯულთა განსახილველ კატეგორიაში, რომლებიც ან ადამიანის სიცოცხლის მოსპობასთანაა დაკავშირებული, ან ისეთი ტიპის ძალადობრივი ქმედებასთან, რომელსაც მძიმე შედეგები მოყვა. ჩემი მოსაზრებით, აღნიშნულ ცვლილებაში განსახილველი მუხლების ამგვარი სელექცია იმითაა განპირობებული, რომ მძიმე შედეგზე ყურადღების გამახვილებით, არსებობს უფრო დიდი ალბათობა, ნაფიცმა მსაჯულებმა მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში უარი არ თქვან დამნაშავეის დასჯაზე, ვინაიდან დაზარალებულის ინტერესიც იქნება დაცული. სხვა ნაკლებად მძიმე დანაშაულების შემთხვევაში კი, თუნდაც ისეთის, როგორცაა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, სადაც ზიანი მხოლოდ მატერიალური ხასიათისაა, სასჯელის სიმკაცრის გათვალისწინებით უფრო მეტია იმის ალბათობა, რომ დამნაშავე უკანონოდ გამართლდეს. თუმცა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასთან ერთად, სავარაუდოდ უფრო მეტად გაიზრდება მუხლობრივი განსჯადობაც და არაა გამორიცხული, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი მომავალში მხოლოდ სისხლის სამართლის სფეროთი არ შემოიფარგლოს.

არსებითად მნიშვნელოვანია ცვლილებები, რომელიც განხორციელებულ იქნა ნაფიც მსაჯულთა შერჩევის დროის სეკვესტრირების კუთხითაც. 2010 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით მოქმედებდა საპროცესო კოდექსის 221-ე მუხლი შემდეგი ფორმულირებით: „ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე სხდომის თავმჯდომარე ამომრჩეველთა ერთიანი სიიდან, მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, თავის მიერვე განსაზღვრული ბიჯის გამოყენებით ადგენს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიას 50 პირის შემადგენლობით. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე გონივრულ ვადაში საცხოვრებელი ადგილის მისამართზე ეგზავნებათ მოსამართლის მიერ დამტკიცებული კითხვარი. ნაფიცი მსაჯულობის

<sup>91</sup> „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი, 2016 წლის 13 ივლისი.

კანდიდატი ვალდებულია უპასუხოს კითხვებს კითხვარში მითითებულ ვადაში. კითხვარს მოსამართლე ამტკიცებს მხარეებთან მოთათბირების საფუძველზე<sup>92</sup>. ამასთან ამ პერიოდშივე მოქმედი კოდექსის 223-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად: „თუ თვითაცილებისა და აცილების შემდეგ მსაჯულობის კანდიდატთა რაოდენობა სიაში 14-ზე ნაკლებია, მოსამართლე გადადებს სხდომას არა უმეტეს 10 დღით და ამ თავით დადგენილი წესით მოიწვევს დამატებით არა უმეტეს 30 კანდიდატს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობის ამ კოდექსით დადგენილ რაოდენობამდე შესავსებად“<sup>93</sup>. შესაბამისად, იმ პერიოდისათვის მოქმედი რეგულაციებით საწყის ეტაპზე ხდებოდა 50 კანდიდატისათვის კითხვარის გაგზავნა, ხოლო ყოველ შემდგომ პროცესზე კი დამატებით 30 კანდიდატის მოწვევა, თუმცა პრაქტიკამ აჩვენა ის სერიოზული ხარვეზი, რომელიც ამ ჩანაწერს ახლდა.

პროცესებზე არსებული სტატისტიკით, საშუალოდ, გამოძახებული კანდიდატების 1/5 ცხადდება ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე, რაც უმძიმეს მდგომარეობაში აგდებდა ბრალდების მხარეს. 9 თვიანი პატიმრობის ვადიდან, დაახლოებით 5 თვემდე მიდიოდა ერთი სისხლის სამართლის ფარგლებში ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის დაკომპლექტებაზე, რაც უდავოა, რომ გაუმართლებლად დიდ დროს ვადას. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ ნაფიცი მსაჯულები ვერ მიიღებენ გადაწყვეტილებას ვერცერთი მხარის სასარგებლოდ, ინიშნება ახალი შერჩევის სხდომა და, პრაქტიკულად, მეორე პროცესისათვის ბრალდებულს პატიმრობის ვადა უკვე გასული აქვს, რადგან ერთი საქმის ორჯერ ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილვა პატიმრობის 9 თვიან ვადაში ფიზიკურად ვერ ესწრებოდა.

სწორედ ამიტომ, შემუშავებულ იქნა ცვლილებათა ახალი პაკეტი და 2016 წლის 13 ივლისის ცვლილების საფუძველზე 221-ე მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე მოსამართლე 18 წელს მიღწეულ მოქალაქეთა ერთიანი სიიდან, მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, შემთხვევითი შერჩევის

<sup>92</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წლის 9 ოქტომბერი. (2012 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი რედაქციის შესაბამისად).

<sup>93</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წლის 9 ოქტომბერი. (2012 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედი რედაქციის შესაბამისად).

პრინციპით ადგენს ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიას არაუმეტეს 300 პირის შემადგენლობით. თითოეულ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით მიენიჭება რიგითი ნომერი. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომამდე არანაკლებ 20 დღით ადრე ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებს საცხოვრებელი ადგილის მოსამართლე ეგზავნებათ მოსამართლის მიერ დამტკიცებული კითხვარი. კითხვარს მოსამართლე ამტკიცებს მხარეებთან მოთათბირების საფუძველზე. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი ვალდებულია უპასუხოს კითხვებს და 5 დღის ვადაში დაუბრუნოს მოსამართლეს შევსებული კითხვარი. მოსამართლე ვალდებულია შევსებული კითხვარები მიღებიდან 5 დღის ვადაში მხარეებს გადასცეს.“ ცვლილება შევიდა 223-ე მუხლში და იგი ჩამოყალიბებულ იქნა შემდეგი მოცემულობით: „თუ ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პირველ სხდომაზე ვერ შეირჩა ყველა ნაფიცი მსაჯული, მოსამართლე გადადებს სხდომას არაუმეტეს 10 დღით და ამ თავით დადგენილი წესით მოიწვევს დარჩენილ კანდიდატებს ამ კოდექსის 221-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიიდან. თუ თვითაცილებისა და აცილების შემდეგ სიაში მსაჯულობის კანდიდატთა რაოდენობა 14-ზე ნაკლებია, მოსამართლე კვლავ გადადებს სხდომას არა უმეტეს 10 დღით და ამ თავით დადგენილი წესით მოიწვევს დამატებით არაუმეტეს 100 კანდიდატს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობის ამ კოდექსით დადგენილ რაოდენობამდე შესავსებად“.<sup>94</sup> ამრიგად, აღნიშნული ცვლილების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შერჩევის სდომის გაცილებით სწრაფად ჩატარება, რათა ძირითადი ყურადღება დაეთმოს არსებითი განხილვის სდომას. ზემოხსნებულმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო სასამართლო პროცესების უფრო სწრაფ და ეფექტურ განხორციელებას, რომელიც ერთ-ერთი უმთავრესი ამოსავალი პრინციპია სისხლის სამართლის პროცესში.

როგორც ნაშრომის მე-2 თავში აღვნიშნეთ, ევროკონვენცია არ სთხოვს ნაფიც მსაჯულებს ვერდიქტის დასაბუთებას, თუმცა მისი მე-6 მუხლი სასამართლოებისგან მოითხოვს გადაწყვეტილების არგუმენტაციას. ევროპული სასამართლო არ ერევა ხელშემკვრელი მხარეების შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში და საპროცესო

<sup>94</sup> „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი, 2016 წლის 13 ივლისი.

წესების განსაზღვრაში, ის არ ადგენს ერთიან სტანდარტს, როგორი სისტემის უნდა იყოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო კონკრეტულ ქვეყნებში, მაგრამ უცილობლად მოითხოვს გარკვეული მექანიზმის არსებობას იმისათვის, რომ ბრალდებულმა გაიგოს რატომ მოხდა მისი მსჯავრდება, ჰქონდეს გასაჩივრების უფლება, დაცვის უფლების სათანადოდ განხორციელების შესაძლებლობა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, „სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი“; ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, „განაჩენი დასაბუთებულია, თუკი ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას.“ განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს. მაგრამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი, რომელიც ასევე შემაჯამებელი გადაწყვეტილებაა, არ საბუთდება. ცხადია, არც ნაფიც მსაჯულებს მოეთხოვებათ ვერდიქტის არგუმენტაცია, ისინი შემოიფარგლებიან მხოლოდ ფორმალური პასუხით „დამნაშავედ სცნო“ ან „არ სცნო დამნაშავედ“.<sup>95</sup> გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სსსკ-ით არ არის გათვალისწინებული ნაფიცი მსაჯულებისათვის შეკითხვების დასმის შესაძლებლობა, როგორც ამას ადგილი აქვს ბელგიასა და საფრანგეთში. ასევე, არ ხდება მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა მიმოხილვა სათათბირო ოთახში გასვლამდე (summing up). საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულია მტკიცებულებათა შეფასების წესის მოკლედ განმარტება მსაჯულებისათვის. კერძოდ, სსსკ-ის 231-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია სათათბირო ოთახში გასვლის წინ ნაფიც მსაჯულებს მოკლედ განუმარტოს სხდომაზე განხილული ყველა მტკიცებულების შეფასების წესი. ის არ მიმოხილავს მტკიცებულებებს, არამედ მხოლოდ გაწერილ წესებს აცნობს მსაჯულებს.<sup>96</sup>

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, რასაკვირველია, დასაბუთებისა და ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის განჭვრეტადობის კუთხით, არსებობს გარკვეული ხარვეზები, თუმცა, როგორც ათწლიან დინამიკაში გამოიკვეთა, კანონმდებელი ცდილობს

<sup>95</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წლის 9 ოქტომბერი.

<sup>96</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წლის 9 ოქტომბერი.

მაქსიმალურად დახვეწოს და ევროპული სასამართლოს რეკომენდაციების შესაბამისად, სისტემატიზაციაში მოიყვანოს საპროცესო კოდექსის რეგულაციები.

## 5.2 შიდასახელმწიფოებრივი რეგულაციები ნულიფიკაციისგან დასაცავად

ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება ვერდიქტის სახით არ საბუთდება. ამასთან, საქართველოს სსსკ 266-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „გამამართლებელი ვერდიქტი არ საჩივრდება“.<sup>97</sup> ზემოხსენებული მოცემულობები რასაკვირველია ზრდის საფრთხეს იმისა, რომ ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებულ იქნას თვითნებური გადაწყვეტილებები, თუმცა კანონმდებელმა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში განსაზღვრა რეგულაციები, რომლის გამოყენებაც მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს საქმის ობიექტურ და სამართლიან განხილვას.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია სასამართლოს მიერ განმარტებების გაკეთება ნაფიც მსაჯულთათვის, როგორც სასამართლო შერჩევის სხდომაზე, ასევე მხარეთა შესავალ სიტყვებამდე და დასკვნითი სიტყვების მოსმენის შემდეგ, სადაც ნაფიც მსაჯულთათვის გასაგებ, შედარებით მარტივ და პოპულარულ ენაზე არის ახსნილი ის სამართლებრივი რეგულაციები, რომელთაც უნდა დაეყრდნონ ნაფიცი მსაჯულები გადაწყვეტილების მიღებისას. განმარტებების გაკეთებისას სასამართლო სსსკ 231-ე მუხლის შესაბამისად ნაფიც მსაჯულებს სათათბირო ოთახში დამატებით აცნობებს, რომ „ვერდიქტი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ სასამართლო პროცესის დროს გამოკვლეულ მტკიცებულებებს, რომ არც ერთი მტკიცებულება არ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში სხვისი მითითებით, რომ ვერდიქტი არ უნდა იქნეს გამოტანილი ვარაუდის საფუძველზე ან დაუშვებელ მტკიცებულებათა გამოყენებით.“

სათათბირო ოთახში გასვლის შემდეგაც, სსსკ 235-ე მუხლის შესაბამისად ნაფიც მსაჯულებს აქვთ უფლება დამატებით მოსთხოვონ მოსამართლეს განმარტება იმ ბუნდოვანი რეგულაციისა, რომელმაც მათთვის წარმოშვა გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გარდა ამისა, ამავე მუხლის „გ“

<sup>97</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წლის 9 ოქტომბერი.

ქვეპუნქტის შესაბამისად, ნაფიც მსაჯულებს აქვთ უფლება, მოითხოვონ „სასამართლო სხდომის დროს დამატებითი განმარტება: სხდომის თავმჯდომარისაგან – კანონის შესახებ, მოწმეთაგან – ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, მხარეთაგან – დასკვნითი სიტყვების შესახებ“.<sup>98</sup>

ნაფიც მსაჯულთათვის მოწმის დაკითხვის უფლების მიცემა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოებაა, რაც აძლევს ნაფიც მსაჯულებს ყველა იმ საკითხზე, რომელზეც მათ სადაო მოსაზრება გააჩნიათ, მიიღონ საჭირო პასუხები. ეს გარემოება ხელს უწყობს მათ მიერ საბოლოო გადაწყვეტილების ფორმირებას. ამას გარდა, მნიშვნელოვანია იმის აღწერა, როგორ ხდება შეკითხვის გაუღებრა ნაფიცი მსაჯულის მიერ, რათა არ მოხდეს იდენტიფიცირება მხარის მიერ კონკრეტული ნაფიცი მსაჯულის განწყობისა. პრაქტიკაში დამკვიდრებული წესის თანახმად, შეკითხვის ინიციატორი ნაფიცი მსაჯული ზეპირად არ აუღებრებს დასასმელ შეკითხვას, არამედ წერს ფურცელზე და აწვდის უფროსს ნაფიც მსაჯულს. იგი, თავის მხრივ, აღნიშნულ შეკითხვას, სხვა ნაფიც მსაჯულთა შეკითხვებთან ერთად, აწვდის მოსამართლეს და მოსამართლის მიერ, ისე რომ მისთვის უცნობია შეკითხვის ავტორი, ახმოვანებს მათ ლოგიკური თანმიმდევრობით, რაზეც მოწმე ვალდებულია გასცეს დასაბუთებული პასუხი. ხსენებული პროცედურა, პრაქტიკულად, გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ როგორც მხარეების, ასევე სასამართლოს მიერ, მოხდეს შეკითხვის დამსმელი პირის იდენტიფიცირება. გარდა აღნიშნული საკითხისა, ნაფიც მსაჯულებს, მოთხოვნის შესაბამისად, მოსამართლისგან ეძლევათ სხდომის ოქმი სრულად ან კონკრეტული მტკიცებულების ჩანაწერის სახით.

ამას გარდა, სსსკ 236-ე მუხლის შესაბამისად, ნაფიც მსაჯულებს ეკრძალებათ: „ა) სხდომის მიმდინარეობისას სასამართლო სხდომის დარბაზის დატოვება; ბ) ვერდიქტის გამოტანამდე საქმის განხილვისას მიღებული ინფორმაციის გამჟღავნება ან საკუთარი აზრის გამოთქმა განსახილველ საქმესთან დაკავშირებით; გ) განსახილველი საქმის გარემოებებთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარის გარდა სხვა პირებთან ურთიერთობა; დ) განსახილველ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება

---

<sup>98</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წლის 9 ოქტომბერი.

სხდომის ფარგლებს გარეთ; ე) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოების დარღვევა; ვ) სასამართლოს შენობაში წესრიგის დარღვევა და სხდომის თავმჯდომარის შესაბამისი მითითებების შეუსრულებლობა“.<sup>99</sup> შესაბამისად, სასამართლო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის ნაფიც მსაჯულებს უსაზღვრავს გარკვეულ ფარგლებს, რომელთა დაუცველობა გამოიწვევს მათ დაჯარიმებას ან მათ ჩანაცვლებას სათადარიგო ნაფიცი მსაჯულით.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად საერთაშორისო პრაქტიკისა, სადაც რიგ ქვეყნებში ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტის შემდგომ მხარეებსა და სასამართლოს აქვს შესაძლებლობა განჭვრიტონ, რა გარემოებებზე დაყრდნობით იქნა მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება, ქართული კანონმდებლობა გადაწყვეტილების მიღებამდე მაქსიმალურად უქმნის ნაფიც მსაჯულებს ისეთ გარემოს, რომ მათ მიერ მოხდეს მტკიცებულებებზე ორიენტირებული, ობიექტური და მიუკერძოებელი გადაწყვეტილებების მიღება. ის, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საკმაოდ კარგად მუშაობს და მეტიც, მათ მიერ ხდება არა ემოციური, არამედ რაციონალური, გაწონასწორებული გადაწყვეტილებების მიღება, ამას ქართულ რეალობაში ჩატარებული პროცესების უმრავლესობა უსვამს ხაზს.

### 5.3 მედიისაგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები ქართულ კანონმდებლობაში

საქართველოში, როგორც უკვე აღინიშნა, არ არსებობს სერიოზული ბერკეტები მედიის უხეში ჩარევისგან დასაცავად. თუმცა, ცალსახად განსხვავებულია პროცესის დროს და სასამართლოს გარეთ მედიის ჩართულობის ხარისხი. კიდევ ერთხელ უნდა შევეხოთ იმ საკითხს, თუ რა რეგულაციებს აწესებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და ზოგადად, რა სამართლებრივი აქტებით რეგულირდება მედიის საქმიანობა ამ სფეროში.

---

<sup>99</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წლის 9 ოქტომბერი.

საქართველოში ჟურნალისტური საქმიანობის ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპია „ჟურნალისტური ქარტია“, რომელიც 2009 წელს იქნა დაფუძნებული და რომელიც მოიცავს 11 პრინციპს.<sup>100</sup> აღნიშნული ქარტიით ყურადღება გამახვილებულია ჟურნალისტის ეთიკურ-მორალურ პრინციპებზე, რომლებიც, როგორც პრინციპებიდან ჩანს, სარეკომენდაციო ხასიათისაა და ძირითადად „კეთილსინდისიერი ჟურნალისტის“ პრინციპს აყალიბებს, თუმცა ეს პრინციპები ცალსახად ძალზე ზოგადი და ზედაპირულია. ამასთან, ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელება სიტყვის თავისუფლების პრინციპზეა აგებული და ჩვენი ძიების შედეგად, ვერ იქნა ვერცერთი საკანონმდებლო აქტი მოძიებული, რომელიც ჟურნალისტს ავალდებულებს და უწესებს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით რეპორტაჟებში გარკვეულ შეზღუდვებს, ხოლო ასეთი მოქმედების განხორციელების შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ სანქციებს.

ერთადერთი რეგულაცია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მოცემულია 226-ე მუხლის მე-3 ნაწილში, კერძოდ, „თუ შეუძლებელია საქმის სამართლიანად და ობიექტურად განხილვის უზრუნველყოფა მასმედიით მისი ინტენსიური გაშუქების ან მისდამი კონკრეტული ტერიტორიის მოსახლეობის დამოკიდებულების გათვალისწინებით, საქმის განხილველი სასამართლო უფლებამოსილია, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობით დაადგინოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადატანა ამ კოდექსის 211-ე მუხლით გათვალისწინებულ რომელიმე სხვა სასამართლოში.“<sup>101</sup>

ეს მუხლი, რასაკვირველია, მცდელობაა იმისა, რომ ნაფიცი მსაჯულების მიერ მისაღებ გადაწყვეტილებაზე მედიამ გავლენა არ მოახდინოს, თუმცა რამდენად ეფექტურია ასეთი მუხლი ჩვენს ქვეყანაში, საკითხავია. ვფიქრობ, იმ მოცემულობის პირობებში, როცა მასობრივი საშუალებების გამოყენებით ძალიან სწრაფად ვრცელდება ინფორმაცია, მეორეს მხრივ ქვეყნის ტერიტორიული სიმცირიდან გამომდინარე, ასეთი ტიპის მოქმედება ვერ შეძლებს კანონმდებლის მიერ ჩადებული მიზნების

<sup>100</sup> <https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula> - გვერდი მოძიებულია 2020 წლის 22 იანვარს.

<sup>101</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წლის 9 ოქტომბერი.



განხორციელებას. მიმაჩნია, რომ აღნიშნული მეთოდი დიდი ქვეყნების მაგალითიდანაა აღებული და, რასაკვირველია, აღნიშნული მეთოდი, ჩვენი ქვეყნისგან განსხვავებით, დიდ ქვეყნებში გაცილებით ეფექტურია.

გარდა ზემოხსენებულისა, სასამართლოში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით პროცესის გადაღებას არეგულირებს საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, რომლის მე-13<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: „საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია შეუზღუდავად განხორციელოს სასამართლო პროცესის ფოტოგადაღება, კინო-, ვიდეო-, აუდიოჩაწერა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩინება სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის თაობაზე.“ ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად: „თუ სასამართლო სხდომაში ნაფიცი მსაჯულები მონაწილეობენ, სასამართლო სხდომის ფოტოგადაღება, კინო-, ვიდეო-, აუდიოჩაწერა უნდა განხორციელდეს ნაფიცი მსაჯულების გადაღების, მათი ვინაობის, გარეგნული ნიშნების ან/და სხვა პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე“.<sup>102</sup> შესაბამისად, სასამართლო პროცესზე მიმდინარე საქმის განხილვების პროცესში, როგორც ეს ზემოხსენებულ მუხლშია დაფიქსირებული, სასამართლოს აქვს ბერკეტი, რომლითაც მასობრივ საშუალებებს არ აძლევს შესაძლებლობას მოიპოვონ სასამართლო პროცესზე მოწმეთა მიერ დაკითხვისას გაჟღერებული ან მხარეთა მიერ გამოკვლეული მტკიცებულებები, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გადაწყვეტს დახუროს სრულად ან ნაწილობრივ სასამართლო პროცესი.

## დასკვნა

---

<sup>102</sup> საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი, 2009 წლის 24 აგვისტო.

წარმოდგენილ ნაშრომში შევეცადეთ მაქსიმალურად დეტალურად წარმოგვეჩინა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტის მნიშვნელობა, ასევე ყურადღება იქნა გამახვილებული როგორც დადებით, ასევე უარყოფით მხარეებზე. უპირველეს ყოვლისა, ჩვენს მიერ განხილულ იქნა განაჩენის დასაბუთების არსი, მისი მიზნები და მნიშვნელობა, სადაც ძირითადი აქცენტი გადატანილია ვერდიქტის დაუსაბუთებლობის ძირითად პრობლემებზე.

განვიხილეთ სასამართლო განაჩენების დასაბუთების სტანდარტი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე. გამოვკვეთეთ, რომ ევროპული სასამართლოსთვის არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რა მექანიზმებით უზრუნველყოფენ ხელშემკვრელი სახელმწიფოები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენის არგუმენტაციას. მთავარია, მსაჯულებს არ მოეთხოვოთ თავიანთი შინაგანი რწმენის არგუმენტაცია და ბრალდებულისათვის უზრუნველყოფილი იყოს იმის გაგება, რატომ დაედო მსჯავრი.

ჩვენს მიერ ასევე დეტალურად იქნა მიმოხილული ნულიფიკაციის არსი და ცნება, ასევე მისი ნეგატიური გავლენა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტზე. ვისაუბრეთ ასევე იმ საკანონმდებლო რეგულაციებზე, ცვლილებებზე თუ სამომავლოდ განსახორციელებელ მოქმედებებზე, რომლებიც კიდევ უფრო სრულყოფილს გახდიან ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს საქართველოში, რათა კიდევ უფრო ეფექტურად აღსრულდეს მართლმსაჯულება.

ვინაიდან მნიშვნელოვანია მედიის როლი ნაფიც მსაჯულთა პროცესში, ამიტომ ყურადღება გავამახვილეთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ნეგატიურ ჩარევაზე სასამართლო პროცესების მიმდინარეობის პროცესში, ასევე იმ საკანონმდებლო ცვლილებებსა და ხარვეზებზე, რომელიც არსებული გამოწვევების სახით გვევლინება.

და ბოლოს, ზოგადი კუთხით შეფასებულ იქნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, როგორც ინსტიტუტი, რომელიც თავისი არსით შესაძლებელია გარკვეული ხარვეზების მქონეა, თუმცა უდიდეს როლს ასრულებს საზოგადოებრივი ცნობიერების სწორად ფორმირებაში, სამოქალაქო და სამართლებრივი შეგნების ამაღლებაში. ამასთან, არსებული სტატისტიკითა და ჩატარებულ პროცესებზე მიღებული გადაწყვეტილებების

შეფასების შედეგად, ცალსახად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნაფიცი მსაჯულები, მიუხედავად იმისა, რომ მათი დიდი ნაწილი შესაძლებელია არ მოღვაწეობდეს სამართლებრივ სფეროში, იღებენ საკმაოდ გაწონასწორებულ, ლოგიკურ, მტკიცებულებებზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბურჯანაძე გ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთებულობა: ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო, სტატიათა კრებული, რედ.: კორკელია კ., თბილისი, 2011. 32.
2. გაბისონია ი., ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატა და მომრიგებელი სასამართლოები, გამომც.: “მერიდიანი”, თბ., 2008წ.,
3. გაბისონია ი., ნაფიც მსაჯულთა შერჩევის, შემადგენლობის ფორმირებისა და მისი ფუნქციონირების ძირითადი საკითხები, კომპაქტური შედარებითი ანალიზი, ჟურნ. “მართლმსაჯულება და კანონი” #1, 2006. 54.
4. გახოკიძე ჯ., გაბისონია ი., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, თბ., 2012წ.,
5. გვენეტაძე ნ., ტურავა მ., სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, რედ.: ძიძიგური ნ., თბ. 2005წ.,
6. ვიდმარი ნ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერთო სამართლის ქვეყნები) სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა, თბ., 2005წ.,
7. იორჰენდი ლ., წიქარიშვილი კ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დასავლური სისტემების მიმოხილვა), თბ., 2012წ., რედ.: წიქარიშვილი კ.,
8. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბ., 2012წ.,
9. ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესი, აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის სამართლებრივი მრჩევლის პროგრამის მიერ, აშშ-ს საელჩო -თბილისი, საქართველო
10. რეკომენდაციები სასამართლოს გადაწყვეტილების შედგენისას გასათვალისწინებელი ძირითადი წესების შესახებ, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბ., 2010.
11. რეხვიაშვილი თ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ანალიტიკური მიმოხილვა, საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტი, კანონშემოქმედებითი საქმიანობის უზრუნველყოფის განყოფილება, 2010წ.,
12. სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპები, მიღებული 2001წ.
13. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წლის 9 ოქტომბერი.
14. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი, 2016 წლის 13 ივლისი.
15. საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი, 2009 წლის 24 აგვისტო.
16. სუნდე ლ. კ., სასამართლოს განაჩენის დასაბუთებულობის ევროპული პერსპექტივა, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, რედ.: კორკელია კ., თბ., 2010.
17. ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009წ., სქოლიო 484,
18. ჭაჭუა ვ., კონსტიტუციური ნოვაცია - ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ჟურნ.: “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2006, 63.

19. ჯ. მაკბრაიდი, ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, ევროპის საბჭო, 2011წ.,
20. ხუციშვილი ე., ვერძეული ს., ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, თბ., 2012წ., რედ.: ყვირალაშვილი ხ.,
21. Salov v. Ukraine, განაცხადი 65518/01, 2005 წლის 6 სექტემბრის განჩინება;
22. Van de Hurk v. Netherlands, განაცხადი # 16034/90, 1994 წლის 14 აპრილის განჩინება, §61;
23. Garcia Ruiz v. Spain, განაცხადი #30544/96, 1999 წლის 21 იანვრის განჩინება, §26.
24. Boldea v. Romania, განაცხადი # 19997/02, 2007 წლის 15 თებერვლის განჩინება, §33.
25. Ruiz Torija v. Spain, განაცხადი #18390/91, 1994 წლის 9 დეკემბრის განჩინება.
26. ტატიშვილი რუსეთის წინააღმდეგ, განაცხადი 1509/02, 2007 წლის 9 ივლისის განჩინება, §58.
27. განაცხადი #74644/01, 2006 წლის 7 მარტი.
28. განაცხადი #7932/03, 2009 წლის 24 თებერვლის განჩინება.
29. R vs Belgium, განაცხადი # 15957/90, 1992 წლის 30 მარტი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომისიის გადაწყვეტილება.
30. Taxquet v. Belgium, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2010 წლის 16 ნოემბრის განჩინება.
31. R vs Belgium, განაცხადი # 15957/90, 1992 წლის 30 მარტი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომისიის გადაწყვეტილება;
32. Matthew Mastromauro, Pre-trial Prejudice: How Youtube generated news coverage is set to complicate the concepts of pre-trial prejudice doctrine and endanger Sixth Amendment Fair Trial rights, Journal of High Technology Law, 2010;
33. Reasons for judgment: objects and observations, Sir Harry Gibbs Law Dinner, University of Queensland, 18 May 2012;
34. Kamisar Y., LaFave W.R., Israel J.H., King N.J., Advanced Criminal Procedure, eleventh edition, 2005;
35. Pakes F., Comparative Criminal Justice, 2004;
36. Israel J.H., LaFave W.R. , Criminal procedure, Constitutional Limitations, St. Paul, Minn. 2001;
37. Rozenberg J., “Newspapers pay high price for “accidental” contempt of court”, The Guardian,.
38. Rozenberg J., “Does the internet mean game over for contempt of court?”, The Guardian;
39. Papon v. France (no. 2) (dec.), no. 54210/00, 2001 წლის 15 ნოემბერი;
40. Leading Constitutional cases on Criminal justice, edited by Weinreb L.L., Thompson west, NY, 2005;
41. Bowcott O., “Juror jailed over online research”, The Guardian;

## ინტერნეტრესურსები:

1. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/12msajuli.pdf>
2. Paul R, Elder L. (1996), , [www.criticalthinking.org](http://www.criticalthinking.org);
3. Andre C., Velasquez M., (2010), The Just World Theory, Santa Claire University, <http://www.scu.edu/ethics/publications/iie/v3n2/justworld.html>;
4. Linder D.(2000), The Trial Of Orenthal James Simpson, University of Missouri-Kansas City <http://law2.umkc.edu/faculty/projects/ftrials/simpson/simpsonaccount.htm>;
5. Frontline (4.11.2005), The O.J. Verdict, interview Alan Dershowitz, <http://www.pbs.org/wgbh/pages/frontline/oj/interviews/dershowitz.html>;
6. The United States Department of Justice, (april 1997), special report <http://www.justice.gov/oig/special/9704a/07simpso.htm>;
7. Linder D.(2001) The trials of Los Angeles police officers' in connection with the beating of Rodney King, <http://law2.umkc.edu/faculty/projects/ftrials/lapd/lapdaccount.html>;
8. <http://www.msajuli.ge/index.php?m=797>;
9. <https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula>.